140
1986

ISSN

ეროვნული ბიბლიოთეკა




# პიონერი

9
1986



# გილოცავთ ჩვენს ნაკადულს

ჩვენი საყვარელი ჟურნალი, „ნაკადული" [illegible]

[illegible]

[illegible]

30 აგვისტო, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩირაღდანი", „მზიური", „გვირილა"



მეოთხეკლასელი ალეკო თეზელაშვილი (141-ე სკოლა) და მეხუთეკლასელი ანდრეი სკალეცკი (მე-18 სკოლა) „ჩირაღდანმა" დაამეგობრა.

ქეთევან ბოჭორიშვილი

გ. ცაგარელის ფოტო

დიდხანს, ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ ლენინის რაიონის სკოლების მოსწავლე გოგო-ბიჭებს კიკვიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში გახსნილ ბანაკ „ჩირაღდანში" გატარებული წლევანდელი ზაფხულის ხალისიანი და შინაარსიანი დღეები. აბა, რა დაავიწყებს დათო კვირკველიასა და დიმა მიხაილენკოს იმ დღის სიხარულს, როცა მოჭადრაკეთა საბანაკო ტურნირში უძლიერესების სახელი მოიპოვეს? ან ლიკა მამისაშვილსა და ალა კვინიკაძეს როგორ დაავიწყდებათ, ასფალტზე ხატვის კონკურსის შედეგები რომ დაჯამდა და ჟიურისთან ერთად მთელმა ბანაკმა საუკეთესოდ აღიარა მათი ნახატები თემაზე „ჩვენ მშვიდობა გვინდა!" ზაზა მეგრელიშვილისთვის ხომ დაუვიწყარი და დაუვიწყარია წლევანდელი 23 ივნისი, როცა მთელმა ბანაკმა მიულოცა დაბადების დღე, ოქტომბრელებმა კი გირჩებისგან დამზადებული წერო მიართვეს საჩუქრად. დაუვიწყარი იყო ყველა ჩირაღდნელისათვის ექსკურსია ვასილ კიკვიძის მუზეუმში, რამდენი ახალი რამ შეიტყვეს იმ დღეს სამოქალაქო ომის ამ ლეგენდარული გმირის



რა ჰქნა ნაცარქექიამ? შეუშინდა დევს?



რაზმის გაზეთის გამოშვება ერთის საქმე როდია.

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი
პიონერი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა
9 სექტემბერი 1986

# სამნი დაადგნენ ომის ბილიკს

ნუგზარ აფხაზავა

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მოთხრობა

ხმელ-ხმელ ბიჭუნას ფეხი ცენტრალური გათბობის რადიატორზე შემოედგა და ფეხსაცმლის თასმას ისწორებდა. კეხიანი ცხვირი ლამის მუხლისთავზე ჰქონდა დარჭობილი. მეორე ფეხთან მრავალომგადახდილი, გახუხულ-გაქუცული მოსწავლის ჩანთა ეგდო. ჩანთას სამ ენაზე, ქართულად, რუსულად და ინგლისურად ლამაზი ასოებით ეწერა პატრონის სახელი — რატი.

ბიჭუნამ, ისე, რომ თავი არ აუწევია, შავ-შავი დიდრონი თვალები სწრაფად მიმოატარა აქეთ-იქით და თუმცა კი დარწმუნდა, დერეფანი ცარიელიაო, წელში გაუმართავად, ცალყბად აუგდო ორი სიტყვა მის გვერდით მდგომ, ფანჯრის მინაზე ცხვირმიჭყლეტილ ლოყებლაქლაქა ბუთხუზა ბიჭს:

— შტაბში ვიკრიბებით!

ფანჯრიდან საინტერესო სანახაობა ჩანდა: მავთულბადის გადაღმა გადაშლილ პატარა მინდორზე ორ ჯგუფად გაყოფილი მეოთხეკლასელები ამანათრბენში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანი, გოგოცა და ბიჭიც, ისე გულიანად, ისეთი მონდომებით ირჯებოდა, გეგონებოდათ, ამ წუთში აქ, ამ ციცქნა მოედანზე, ოლიმპიური ოქროს მედლების ბედი წყდებაო. მაგრამ ფანჯარას მიკრულ ბუთხუზას მთელი გულისყური მის გვერდით წახრილი ამხანაგისკენ ჰქონდა მიმართული და შეჯიბრებისადმი განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუჩენია. მანაც ისევე, თავის მოუბრუნებლად, მკაცრი კონსპირაციის დაცვით — მოკლედ უპასუხა:

— გავიგე!

— იჩქარე!

— გია?

— დაზვერვაზეა!

— სად?

— იქ გაიგებ!

— შტაბში მოვა?

— ჰო. მოვრჩეთ ახლა. წავედი. გელოდები.

ვიდრე კახა (ბუთხუზას კახა ერქვა) შოთა მასწავლებელს (კლასის ხელმძღვანელს) იპოვნიდა, რომ ბოლო გაკვეთილიდან გათავისუფლება ეთხოვა (საპატიო მიზეზი ადრევე ჰქონდა მოფიქრებული), რატიმ უკვე გაიარა სკოლის ეზოს ჭიშკარი და ახლა თოხარიკით მიჰყვებოდა დაუმთავრებელი საცურაო აუზის უკან დაზვინული სამშენებლო ნაგვის ბორცვებს შორის გაკლაკნილ ბილიკს. ამ გზით მას შეეძლო უფრო სწრაფად მირბენა და შეუმჩნევლად ჩამძვრალიყო ტანაშოლტილი ლელქაშით დაფარულ ხევში, სადაც ბიჭებს შტაბი ჰქონდათ გამართული.

•

ყეენისგორა, თავწაკვეთილი და წაგრძელებული მთა, კარგად მოჩანს დედაქალაქის ბევრი კუთხიდან. თუ თბილისის ზღვისკენ მიმავალ სამ ან ოთხ ნომერ ტრამვაის აჰყვებით (თემქ-ის დასახლების მცხოვრებნი მას ლურჯას ეძახიან — ფერის გამო), ბოლოსწინა გაჩერებაზე მარჯვნივ გაიხედეთ და ყეენისგორის ახავერდებულ ფერდობს დაინახავთ. ხოლო თუ საპირისპირო მხარეს შებრუნდებით, მაღალ-მაღალ კორპუსებს შორის, ქვემოთ შეიძლება დალანდოთ ტრამვაის ხაზის პარალელურად ჩაწოლილი საკმაოდ ღრმა და განიერი ხევი. იგი ოდესღაც არსებული მლაშე ტბების ტაფობიდან გამოედინებოდა, ახლა კი სათავეშივე ზღვის მაღალი და მტკიცე კაშხალითაა გადაკეტილი. სწორედ მას ამავე მიდამოებში მარცხნიდან უერთდება ზემოხსენებული „შტაბის" ხევი, რომლის ნიადაგქვეშა წყლებიც ასე უხვად და უშურველად ასაზრდოებენ ხშირსა და ტანმაღალ, მწვანედ მოხასხასე და იდუმალად მოშრიალე ქოჩორა ლელქაშს.

შტაბი ამ პატარა ხევის ფსკერზე იყო გამართული. აქ ლელქაში ისეთი სიმაღლისა გახლდათ, რომ უზანგებზე წამოწეულ ახოვან მხედარსაც კი დაფარავდა. ბიჭებს პირწმინდად გაეკაფათ და საგულდაგულოდ გაესუფთავებინათ ორ მეტრამდე სიგანისა და სამიოდე მეტრის სიგრძის ფართობი. სახურავად ერთმანეთისკენ გადაღუნული და წვრილი მავთულებით გადაბმული ლელქაშის ღეროების გუმბათი ჰქონდათ, კედლებად — გაშლილი მუყაოს ყუთები. ფიცრებისა და აგურებისაგან სკამლოგინები გაემართათ, ორი დიდი ხილის ყუთი და მათზე გადაჭედებული ფირფიცარი კი მაგიდის მაგივრობას სწევდა. ამ მაგიდაზე ხშირად ეწყობოდა „ომისწინა ნადიმები" პურით, მწვანილით, მოხარშული კვერცხებით და ლიმონათით ან „პეპსი-კოლათი"; ზოგჯერ ამავე მაგიდაზე სრულდებოდა საშინაო დავალებები; აქვე მზადდებოდა და იხვეწებოდა მომავალ „სამხედრო მოქმედებათა" გეგმები, წყდებოდა ესა თუ ის მწვავე საჭირბოროტო პრობლემა; ხანგამოშვებით კი, როცა საშური საქმე არაფერი ჰქონდათ, უწყინარ „ჯოკერს" ან „დურაჩკასაც" ამ მაგიდაზე თამაშობდნენ ხოლმე.

კახა სამხრეთის კარიბჭით შევიდა შტაბში. ბიჭები უკვე იქ იყვნენ.

— რა იყო, რა, დოლაბები ხო არ გამოგაბეს ფეხებზე? — დაუბღვირა გიამ.

— დოლაბები კი არა... — კახამ ჩანთა დაუდევრად მიაგდო სკამლოგინზე. — შოთა მასწავლებელს ვეძებდი.

— დაჯექი. საქმე გველოდება.

— აჰა, უკვე ვზივარ.

რატიმ საქმიანად ჩაახველა, კოჰები შეიკრა და მაგიდაზე გაშლილ ქაღალდის ფურცელს, რომელზედაც რამდენიმე ერთმანეთზე გადაბმული ოთხკუთხედი ეხატა და რაღაც იდუმალი ნიშნებით იყო აჭრელებული, მძიმედ დაადო ხელისგული.

— დღეს მტრის ტერიტორიაზე უნდა შევიჭრათ, — ჩუმი ხმით თქვა და მიმოიხედა. — მოენე გვჭირდება.

კახა წინ გადაიხარა, მოუთმენლად აქშინდა და თვალები დააცეცა.

— რომელი მტრის? — იკითხა ხმადაბლა. — მტერი ბევრი გვყავს.

— მართლა კაკუჩა ხარ! — გაბრაზდა გია. — ჩვენი ყველაზე დიდი მტერი ვინ არის, დღემდე არ იცი? რაღა შტაბის წევრი ხარ ამის შემდეგ!

— მორჩი ერთი!

— მორჩი კი არა, ასეა!

კახამ რატის გადახედა. იმანაც ყვედრებით გადააქნია თავი, აქაოდა, „ვაი, სირცხვილოო"...

— ძია სიმა? — მიხვდა ბუთხუზა.

— ეუჰ, რა მაგარი ამოცანა ამოხსნა, ბიჭო! ნაღდი შტეინ... შტაინ... აინშტაინი ხარ, ხო იცი! — რატომღაც მაინცდამაინც ალბერტ აინშტაინს გადასწვდა გია. — მე მგონია, ამას სახელი უნდა გამოვუცვალოთ, — სერიოზული სახით მიუბრუნდა რატის. — რას იტყვი, ალბერტა ხომ არ დაგვერქმია, ა?

— არა, — და ამან კიდევ უფრო შეუკეთა ცეცხლი: — შტაბიდან გავრიცხოთ და ის იქნება. ეკუთვნის მაგას!

— სწორია, მაგრე იყოს.

— ჰო, კარგი, გეყოფათ, — ხელი აიქნია კახამ. — ვითომ საქმეს მივხედოთო და, ლაპარაკის მეტს კი არაფერს აკეთებთ. მაიმუნები ხართ თქვენ!

გიამ და რატიმ ჩაიხითხითეს და მხარზე ხელი დაჰკრეს ძმაკაცს. მერე სამივენი უცებ დასერიოზულდნენ და „მტრის" ტერიტორიის — ძია სიმას სარდაფის — გეგმაში ჩარგეს ცხვირი.

●

ძია სიმა ბოლო სადარბაზოში ცხოვრობდა. საშუალო ტანის კაცი იყო, მაგრამ თითქოს რკინისაგან ჩამოსხმული, ძვალმსხვილი და კუნთმაგარი. თავზე წაბლის ბუძგივით ადგა მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა თმა. წაბლისფერი წარბები ჩამოფხატოდა და უჩრდილავდა მკაცრად მომზირალ ფოლადისფერ თვალებს. მკვეთრი, მჭახე ხმა ჰქონდა და მისი მზერაც და ხმაც ერთნაირად სცემდა ზარს ეზოს ონავარ ბავშვებს.

თუმცა, რაღა ბავშვებს... მაინცდამაინც თბილი და გულღია ურთიერთობა არც უფროსებთან ჰქონია ძია სიმას. მართალია, სალამს არავის ამადლიდა, მაგრამ „გამარჯობა-ნახვამდისო", ამას თუ ეტყოდა კაცს, თორემ მეტს არც თვითონ დაუმატებდა და არც სხვას ათქმევინებდა, შებრუნდებოდა და ან თავისი „მოსკვიჩის" ქვეშ შეძვრებოდა, ან სარდაფში დურთავდა თავს, ხან, სასხლავით ან ბარით შეიარაღებული, საკუთარი ბაღისაკენ მიმავალ ბილიკს დაადგებოდა მგლური ნაბიჯით.

ბაღი დიდი ხევის პირას, ფართო ტერასაზე გააშენა (ახლა ამ ადგილას ლამაზი ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი დგას). საგულდაგულოდ დამუშავებუ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მიწის ნაკვეთი მავთულბადით შემოღობა, მერე მისდგა და თვალსა და ხელს შუა ააყვავა. რაღა არ ედგა იმ თავის წალკოტში! გაზაფხულზე სისხლისფერი მარწყვი და ალუბლის ჩამუქებული ლალი იზიდავდა ბიჭებს ანდამატივით, ზაფხულში მზისფერი ატამი და ქარვადაკრული ლეღვი სჭრიდათ თვალს, შემოდგომაზე კი ულმობლად აყლაპვინებდათ ნერწყვს ლოყაშეფაკლული ვაშლი და ღამეზე უშავესი „ადესა“... ახლა ამას კიტრი და პამიდორი, ყოლო, ნესვი და საზამთრო მიუმატეთ... ჰოდა, უვლიდნენ ძია სიმას ბაღს გარშემო გია თუ რატი, კახა თუ შავლეგი, მამუკა თუ ლევანი. მაგრამ ბიჭი იყავი და ცხვირი შეეყო შიგ! ერთი ციდა-მტკაველა, თხუნელასავით შავი ნაგაზი ჰყავდა ძია სიმას. მიადგებოდნენ თუ არა ბიჭები ღობეს, ის მართლა ძაღლი-მამაძაღლი, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მაშინვე იქ გაჩნდებოდა, ავ თვალს გააკვესებდა, ზურგზე ზღარბივით აიშლიდა ბეწვს, ერთიანად დაიძაგრებოდა და... არა, არც კი იფიქროთ, ყეფდა ან იღრინებოდაო, არა, აჰ! ის კი არა, წკმუტუნიც არ დასცდებოდა, საერთოდ არ იღებდა ხმას, მხოლოდ ლაშები უთრთოდა მრისხანე მუქარით და მთლად კაცივით აღრჭიალებდა კბილებს, ზუსტად ისე, როგორც მიშკა ლოთმა იცოდა, უზმოზე ას გრამ არაყს რომ გადახუხავდა.

ძაღლი — ძაღლად... ერთ-ორჯერ ძია სიმას მწვავე წკეპლაც მოხვედრიათ შიშველ კანჭებში ბიჭებს. დღემდე ყურში უდგათ მისი სხივილი...

— კერძო მესაკუთრეა, მე მაგის... — ბუტბუტებდა გია.

— კი, კულაკია! — აზუსტებდა რატი.

— გაზეთ „თბილისში“ წერილი უნდა გავგზავნო. — კონკრეტულ ღონისძიებას სახავდა კახა. — მივწერ, თუ როგორ თამაშობს ზოგიერთი პიროვნება პატიოსანი პიონერის ნერვებზე. უჩვენებენ მაგას სეირს!..

ეს — ბაღი.

ახლა მანქანა?

ძია სიმას მიყანყალებული „მოსკვიჩის“ სიახლოვეს ჭიანჭველასაც კი ჰქონდა აკრძალული ავლა და ჩავლა. ცივ ნიავს არ აკარებდა პატრონი. ერთხელ ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ ეზოში და როცა კახამ მოწინააღმდეგის დარტყმული თერთმეტმეტრიანი გაუშვა, ბურთი მსუბუქად მოხვდა „მოსკვიჩის“ ბამპერს. აუჰ, არ დაიქცა ქვეყანა?! „კალბატონო წიალა! ტკვენი ბიჩი ჩემი მანქანა კინაგამ გაფუჩა!“ „ბატონი შოტა! ტკვენი მოსცავლე ჩემი მანკანა გათეხა!“ „ეს მანკანა ციცილა კი არა, ბათონო, პული მიმიწია!“

ძია სიმა სასაცილოდ ურევდა ერთმანეთში „თ“-სა და „ტ“-ს, „წ“-სა და „ც“-ს, მაგრამ, მისი ნიადაგ ჩამოქურუშებული სახისა და ფოლადისფერი თვალების ცივი ელვის შემხედვარე, ვინ გაბედავდა გაღიმებას?

— გააწყალა, რა, გული, ამ თავისი ნავთის ბიდონით! — ბუზღუნებდა გია.

— „გაზ-24“ ანდა „მერსედესი“ რომ ჰყავდეს, არ დაგვჭამდა, კაცო? — აჟრიალებდა რატის.

— გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ გავგზავნი წერილს! — იმუქრებოდა კახა. — ისინი მოუვლიან.

ეს — მანქანა და ეზო.

ახლა სარდაფი?

ომობანას თამაშისას სარდაფი მისწრებაა — იგი ხან კატაკომბაა, ხან — გამოქვაბული, ხანაც ბლინდაჟი ან ხანგრძლივი საცეცხლე წერტი. სარდაფში ადვილია მტრის შეტყუება და ხაფანგში გაბმა. თანაც აქ ზაფხულში გრილა, ზამთარში კი სასიამოვნო სითბო ტრიალებს. ერთი სიტყვით...

მაგრამ აბა სინჯე და, თუ ბიჭი ხარ, ფეხი ჩადგი ბოლო სადარბაზოს სარდაფში! არა, მაინც საიდან დაიხატება ხოლმე ეს ძია სიმა დაბარებულივით! ნეტავი როგორ ახერხებს ერთდროულად ბაღის დარაჯობასაც, „მოსკვიჩის“ თვალთვალსაც და სარდაფის ყარაულობასაც? თან, ამავე დროს, სადღაც ხომ მუშაობს? თან დღეში სამჯერ მაინც ხომ ჭამს პურს? ძილი აღარ უნდა? ისიც ხომ სათქმელია, რომ უკვე არცთუ მთლად ახალგაზრდაა და...

— იქნებ ტყუპი ძმები არიან და ჩვენ ერთი გვგონია? — ხმამაღლა ფიქრობს რატი.

— მერედა, სამივეს სიმა ჰქვია? — ეჭვობს გია.

— სახლმმართველობაში დავაზუსტოთ, — წინადადება შემოაქვს კახას. — იქ ნაღდში ეცოდინებათ.

თავის სარდაფში ძია სიმას საბოცვრე მეურნეობა ჰქონდა გამართული. სამაგალითოდ მოვლილი, მბზინავბეწვიანი რუხი ბოცვრები ჰყავდა.

●

და აჰა, აივსო მოთმინების ფიალა, ბიჭებმა მუხლებზე გადაიმტვრიეს სამშვიდობო ჩიბუხები და ომის ბილიკს დაადგნენ.

დარეკა შურისძიების ზარმა, დადგა ანგარიშსწორების ჟამი.

ან შტაბი, ან ძია სიმა!

წილი ნაყარია!

●

შუა ოქტომბერი იდგა, მაგრამ თბილისში აგვისტოსებური პაპანაქება მძვინვარებდა. ასეთ სიცხეში რკინაბეტონის სახლებს აფარებს ხოლმე თავს ხალხი, რადგან იქ უფრო გრილა, ვიდრე გარეთ, თუნდაც — ტირიფებისა და ალვის ხეების ჩრდილში, მით უმეტეს, რომ სუსტი სიოც არ უბერავს და ფოთლები კედელზე დახატულივით გარინდებულან. ამ დროს ჭიაღუაც სოროშია შემძვრალი და ჩიტსაც კი ეზარება ფრენა.

დიახ, მიუხედავად შუა შემოდგომისა, მაგარი ალხი იდგა და ეზოც ცარიელი იყო, თუ კახას არ ჩავთვლით, ეზოს სიღრმეში მხედრულად რომ გადასჯდომოდა ძელსკამს, ზურგით ფოთოლშემჭკნარი ტირიფის ხაოიან ტანს მიყრდნობოდა, ხელში ჯაყვა ეჭირა და ჩუმი ღიღინით დანასობიას თამაშობდა. ამ თამაშში ისე გაერთო, დაკისრებული მოვალეობა სულ მიავიწყდა და „ვეჰ!“-ო, ყურში რომ ჩასძახეს, შეშინებულმა ერთი კი დაიღრიალა რაღაც გაურკვევლად, შეხტა და მიწაზე მოადინა ზლართანი. მაშინვე ფეხზე წამოვარდა და ის იყო, უგზო-უკვლოდ უნდა გაქცეულიყო, რომ ხმამაღალ-

მა სიცილმა შეაჩერა და უკან მოახედა. მის თანაკლასელებს — მალხაზს, ქეთინოსა და ლევანს მუცელზე ხელები შემოეჭირათ, წელში მოხრილიყვნენ და კი არ ხარხარებდნენ, ხაოდნენ და კიოდნენ თვალზე ცრემლმორეულები.

კახამ უყურა, უყურა, დააცადა, სანამ სიცილს მოათავებდნენ, მერე დოინჯი შემოიდგა და თავის კანტურითა და მწარე ღიმილით, თითქმის დამარცვლით უთხრა:

— გიჟები ხართ თქვენ!

ამაზე ბავშვები ისევ ჩაბჟირდნენ.



— გული რომ გამსკდომოდა, რას იზამდით? — განაგრძო კახამ. — ჩემი მოკვლა თუ გინდოდათ, ბარემ ჩაგერტყათ თავში ერთი აგური და სწრაფად გათავდებოდა საქმე. ბანდიტები ხართ თქვენ!

— ჰო, კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, ერთი შეყვირებით ჯერ არავინ მომკვდარა, — დაამშვიდა ქეთინომ.

— მე ჩვილი გული მაქვს, — მთლად მოისაწყლა თავი კახამ.

— ოჰ! ძალიანაც ნუ შეგვაცოდებ თავს, თორემ ჩვენც ჩვილი გულები გვაქვს და ვაითუ თან მოგყვეთ. არა, ბიჭებო?

— ჰო, რა, ეგრეა, — დაუმოწმა მალხაზმა. — ფრთხილად იყავი, ემანდ ინფარქტი არ აგვკიდო.

— ინფარქტი კი არა... რობოტები ხართ თქვენ.

ქეთინომ ხელი ჩაიქნია.

— გია და რატი სადღა არიან? — მოისაკლისა ბიჭები ლევანმა. — ერთად არ წამოხვედით სკოლიდან?

კახას ყელში რაღაც გაეჩხირა, ისედაც აღაჟღაჟებულ ლოყებზე მთლად ცეცხლი წაეკიდა. ახლაღა გაახსენდა, საბრძოლო დავალებით რომ იმყოფებოდა აქ, ამ სათვალთვალო პუნქტზე. „რაღა ახლა მოუნდათ!.. აუ, კარგი და, სწორედ ახლა გამოვიდნენ ბიჭები და ამათ შეეყაროწ!..“ როგორ დაავიწყდა, როგორ გაითიშა აგრერიგად!..

— მგონი... მგონი თონეში წავიდნენ ლავაშის ამოსატანად, — მოიფიქრა უცებ... — გჭირდებოდათ?

— ისე, რა, — თქვა ქეთინომ. — თუმცა, შენც შეგიძლია დაგვეხმარო.

— რაში? — სწრაფად ჰკითხა კახამ და თვალი ბოლო სადარბაზოსკენ გააპარა.— რაში უნდა დაგეხმაროთ?

— წითელ კვალმაძიებლებს მომავალ კვირაში ომის ვეტერანებთან შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი, — აუხსნა ლევანმა. — ოცდამეშვიდე კორპუსში ერთმა მოხუცმა ქალმა აქეთკენ მოგვასწავლა, თქვენს სახლში ცხოვრობს თურმე რომელიღაც ცნობილი ვეტერანი. გერასიმე... მოიცა, ჩავხედო ...ჰო, გერასიმე ივანეს ძე რეზნიკი. იცნობ?

„ნეტავი ჯერ არ გამოვიდოდნენ“, — ინატრა გულში კახამ, ხმამაღლა კი:

— რეზნიკი? როგორ არა, როგორ არა, ვიცნობ! — მიუგო მოჩვენებითი სიხარულით. — ოღონდ ჩვენთან კი არა, აგე, იმ კორპუსში ცხოვრობს, — მეზობელი რვასართულიანი შენობისკენ გაიშვირა თითი. — მაღალ-მაღალი, გამხდარი მოხუცია, თოვლივით თეთრი თმა აქვს. მეორე სადარბაზოში იკითხეთ. ოღონდ ბინა არ ვიცი, — გაასავსავა ხელები.— მაგრამ ეგ არაფერი. ჰკითხეთ ვინმეს. ყველა მიგასწავლით. ცნობილი კაცია.

კიდევ კარგი, დროზე რომ მოიფიქრა, სწრაფად და უყოყმანოდ რომ ატაკა ცხელ-ცხელი ტყუილი — შევიდნენ თუ არა წითელი კვალმაძიებლები მეზობელი კორპუსის მეორე სადარბაზოში, ძია სიმას სარდაფიდან გიამ და რატიმ ამოირბინეს, ფრთხილად გამოიჭყიტეს გარეთ, არემარე დაზვერეს და მერე ზომიერი ნაბიჯით, აუჩქარებლად გასწიეს შტაბისაკენ.

გიას როგორღაც ძალზე გამობერვოდა მარცხენა ფერდი...

კახამ ცოტა შეიცადა, მერე შარვალი გაიფერთხა, ჯიბეში ასანთი მოიჩხრიკა, ჯაყვა დაკეცა და მანაც შტაბს მიაშურა, ოღონდ უფრო შორეული, შემოვლითი, უფრო მშვიდობიანი გზით.

„რეზნიკი... — ფიქრობდა გზადაგზა. — მე რა ვიცი, ვინ ოხერია ეგ რეზნიკია თუ ვიღაც. სულაც არ მაინტერესებს, ვინ არის და სად ცხოვრობს. წავიდნენ ერთი... იფ! რა ჩემი საქმეა, მაგათ დაავალეს, მე ხომ არა, დადგნენ და ეძებონ“...

●

„ეს უნდა დავკლათ?“ — შეძრწუნდა კახა.

პირველად ხედავდნენ ასე ახლოს ბოცვერს.

ვერცხლისწყალში ამოვლებულს ჰგავდა, ისე უბრწყინავდა ნაზი ქათიბი. თავს აქეთ-იქით ატრიალებდა და საყვარლად აცმაცუნებდა ტუჩებს. ულვაშები გიშრისა ჰქონდა, თვალები — უწყინარი, მშვიდი... რატიმ ფრთხილად, ფრთხილად გადაუსვა ხელი კისრიდან გავისაკენ.

ბოცვერს მთრთოლავმა ტალღამ გადაურბინა ზურგზე, უცებ თავი მოაბრუნა, რატის ცერი პირში მოიგდო და კანფეტივით დაუწყო წუწვნა. ბიჭს შეეღიტინა და გაეცინა.

— პატარა სულელი... — ჩაილაპარაკა.

გიამ დაცინვით შეხედა. მერე სახე გაიმკაცრა. წელში გაიმართა და სიმაღლეში რატის წააჭარბა. მარჯვენა ხელი თეძოზე შემოიდო, მარცხენა კი მკვეთრი მოძრაობით გაიშვირა წინ და ყრუ, მაგრამ მაინც მტკიცე ხმით წარმოთქვა:

— შტაბის წევრების, გია, რატი და კახა თემქელების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენი შტაბის მტერზე, ძია სიმაზე შურისძიების მიზნით, მის ერთ-ერთ ბოცვერს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილი ყელის გამოჭრით, გატყავებითა და შამფურზე შებრაწვით!

კახას გააჟრჟოლა, მაგრამ ეს არავის შეუნიშნავს.

რატიმ ნელა გაითავისუფლა ცერი და განაბულ ბოცვერს ისე დააკვირდა, თითქოს პირველად ხედავსო.

— კი მაგრამ... ამან რაღა დააშავა... — კი არ იკითხა, უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა.

გიამ გაწვდილი ხელი ჩამოუშვა. რატის ჩურჩულისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— განაჩენის აღსრულება ევალება... კახა თემქელს! — უფრო ხმადაბლა, მაგრამ იმავე მტკიცე ხმით ბრძანა და მკაცრი მზერა მიაპყრო ბუთხუზას. — შეუდექით!

კახას საცრისოდენა გაუხდა თვალები.

— რას შევუდგე?

— რასა და ფლავის ჭამას! — კბილებში გამოსცრა გიამ. — ვერ გაიგონე ბრძანება? დაყრუვდი?! განაჩენი აღასრულე-მეთქი, არ ვთქვი გასაგებად?!

კახამ ძლივს გადაყლაპა ნერწყვი. გალურსულ ბოცვერს მზერა შეავლო. ფერი დაეკარგა და უფრო მკვეთრად დააჩნდა ჭორფლი. პირი გააღო, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა სიტყვის სათქმელად. ისევ მოკუმა ტუჩები.

— მე ერთი წუთით შინ ავირბენ, — თქვა უცებ რატიმ. — სულ დამავიწყდა, მამიდაჩემს უნდა დავურეკო. ერთი წიგნი სჭირდებოდა და ძლივს უშოვა დედაჩემმა. ავირბენ და წუთში აქ გავჩნდები.

— ბიჭოო, რა კარგია, რომ გამახსენე! — შუბლში ხელი იტკიცა კახამ. — მაღაზიაში ვარ წასასვლელი. მამაჩემს „ბორჯომი" რომ არ დავახვედრო, ყურებს ამახევს, ვიცი მისი ამბავი! აუჰ! კიდევ კარგი! გენიოსი ხარ შენ, რატი!

გიამ დოინჯი შემოიდგა, წელში გაიზნიქა, თავი გვერდით გადახარა და თვალები მოჭუტა.

— დედლობთ?!

ბიჭებს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. წასასვლელად დაფაცურებულები უცებ შედგნენ და მოიბუზნენ.

— ითესებით, არა? — იმავე დამცინავი, ცივი ხმით განაგრძო გიამ, გამსჭვალავი მზერა რიგ-რიგობით გადაჰქონდა ერთიდან მეორეზე. — საქმე საქმეზე რომ მიდგა, გინდათ მოხიოთ, არა? რა ვიცი, მაგარბიჭობაზე კი დებდით თავს! იჰ, თქვენი მოგებული ომისა რა გთქვა... მოიტა დანა!

კახამ ნელა გაუწოდა გაშლილი ხელისგული. გიამ სწრაფად ააცალა დანა. კახა ერთხანს გაქვავებულივით იდგა, მერე ისევ ნელა დაუშვა ხელი. გია დამცინავად შეჰყურებდა.

— შენ რაღა დაგემართა? — ახლა რატის მიუბრუნდა გია. — აკი იმ დღეს ტრაბახობდი, მამაჩემმა სოფელში საახალწლოდ ბურვაკი დამაკვლევინაო? თუ მოიგონე?

— ის — ბურვაკი იყო! — გაწითლდა რატი.

— იჰ, ერთი მასტი ხართ ორივენი! — გადააფურთხა გიამ. — ჩემი მტერი იყოს თქვენი იმედით!.. კარგი, მაშ აგრე, არა? თქვენ თუ შორიდან არ გაყურებინოთ ამის მწვადებისათვის, კაცი არ ვიყო! იქნებ შემეხვეწოთ კიდეც, მაგრამ ნურას უკაცრავად! დამაცადეთ... მე მაგას... ახლავე... დიდი რამე... აი, ასე... მორჩი ფართხალს, შე...

და უცებ ფხაკუნი და საწყალობელი, გულის გამგმირავი წივილი გაისმა. რატი მოწყვეტით ჩაჯდა, მოიკუნტა და ყურებზე ხელები აიფარა. კახა ისევ ზურგშექცეული და ბეჭებში მოხრილი იდგა. ის საცოდავი წივილი მალე ხმადაბალმა ხრიალმა შეცვალა. წამის შემდეგ ისიც მიწყდა.

შტაბში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ისმოდა, უჩინარი ნიავის ფრთები როგორ აშარიშურებდა ლელქაშის შემხმარ ფოთლებს. სადღაც, შორიახლო, კენტი ბეღურა ჟივჟივებდა ჟინიანად. სკოლის მხრიდან მოგუდული ყიჟინა მოისმოდა.

რატი წამოიწია, ყურებიდან ხელები მოიშორა. კახაც შემობრუნდა. შეთანხმებულებივით, ერთდროულად გახედეს მაგიდას. გია იდგა, ხელები მოწყვეტილებივით ჩამოეშვა. მარჯვენა ხელში გასისხლიანებული ჯაყვა ეჭირა. მაგიდაზე ბოცვერი იდო, რომელსაც ჯერ კიდევ უთრთოდა სხეული, ვერცხლისფერი ნაზი ბეწვი ჭიამაიასავით დაწინწკვლოდა, ყელზე თითქოს ყაყაჩოსფერი ხილაბანდი ჰქონდა შემოხვეული. თვალები ღიად დარჩენოდა. თეთრი კბილები მოუჩანდა გაპობილ ტუჩქვეშ.

— ჰიტლერი ხარ შენ... — უცნაური მშვიდი ხმით თქვა კახამ. მკვდრისფერი ედო სახეზე.

გია შეკრთა, მაგრამ არ მობრუნებულა.

ბეღურამ ჟივჟივი შეწყვიტა, კახას ხმამ თუ დააფრთხო. მერე ისევ განაგრძო თავისი სიმღერა.

— არ მინდა! — იყვირა კახამ და გამეტებით ჰკრა წიხლი შტაბის კედელს — გოფრირებულ მუყაოს ფურცელს. — არ მინდა! — მიჰყვა და გაცოფებულმა ერთიანად დალეწა, დაჭყლიტა და წუთში მიწასთან გაასწორა ამდენი ხნის ნაშენები და ნალოლიავები. — არ მინდა, — ახლა უკვე ხმადაბლა, მაგრამ რაღაცნაირი გაბოროტებით თქვა, შედგა და თავის ნამოქმედარს გადახედა. თვა-

ლები უელავდა, სახეზე ალმური შენთებოდა. — რატი, მომეხმარე! — ჯიბეზე ხელი გაიკრა, ასანთის კოლოფი ამოიღო და გააჩხაკუნა. — მოდი, გადავწვათ აქაურობა! ჯანდაბას!

●

ორშაბათს, გაკვეთილების შემდეგ, მეექვსეკლასელებს პიონერთა ოთახში მოუხმეს.

გიას, რატის და კახას მთელ დღეს მზერა არ გაუსწორებიათ ერთმანეთისათვის. მოღუშულები და გულდახურულები იყვნენ. ჩანდა, სამივეს მწვავედ და ძალუმად, მაგრამ ალბათ სხვადასხვანაირად ქენჯნიდა სინდისი.

კედლების გასწვრივ სკამები ჩაემწკრივებინათ. თანაკლასელებს უკვე დაეკავებინათ ადგილები. სამად სამი სკამი იყო თავისუფალი. თითქოს საგანგებოდ, გვერდიგვერდ იდგა სამივე. მივიდნენ და დასხდნენ.

დასხდნენ და ზედვე დააცივდნენ სკამებს:

სწორედ მათ პირისპირ, მაგიდასთან, ელისო ხელმძღვანელსა და დირექტორის მოადგილეს — ნანა მასწავლებელს შორის სახეზე ღიმილგადაფენილი ძია სიმა იჯდა. დიდრონი, ძარღვებდაბერილი ნაჯაფი ხელები მოწაფესავით დაელაგებინა მაგიდაზე.

ბიჭებს ხახა გაუშრათ. კახას წამოხტომა და გაქცევა მოუნდა, ძლივს შეიკავა თავი. რატის გული შეუქანდა. გიას მოეჩვენა, ფეხქვეშ იატაკი მეცლებაო, და ორივე ხელით სკამს ჩაეჭიდა. სამივემ ის იფიქრა, ძია სიმას, როგორც ჩანს, ბოცვრის ამბავი შეუტყვია და ახლა მთელი კლასის წინაშე გაშავება და გამწვანება არ აგვცდებაო. აუ, რა გაუძლებდა ამ სირცხვილსა და თავის მოჭრას! ხვალ მთელ სკოლას ეცოდინებოდა ყველაფერი!

კახამ და რატიმ ერთდროულად გადახედეს მხრებში თავჩარგულ გიას.

ყოფილ შტაბის უფროსს, გია თემქელს ოდნავადაც კი არ ეეჭვებოდა, რომ მთელი დანაშაული მას დააწვებოდა მხრებზე. აკი ის იყო მზვერავიც, „ტყვის" გამტაცებელიც, მსაჯულიც და... ჯალათიც! ეჰ, რას იზამ, მოხდეს, რაც მოსახდენია! თვითონ იკისრებს მთელ დანაშაულს! ღირსიცაა... საწყალი ბოცვერი...

ვილაც ფრთხილად შეეხო მხარზე. თავი ასწია. რატიმ ნელა დახუჭა თვალები და ოდნავ დაუქნია თავი — „ნუ გეშინია, შენთან ვართო", — ანიშნა. კახამ ძლივსშესამჩნევად გაუღიმა. მაშასადამე... მაშასადამე, არ აპირებენ ბიჭები მის მიტოვებას? ასე გამოდის, აპატიეს?.. ეჰ, გია, გია! არა გრცხვენია, ვისში შეგეპარა ეჭვი? განა ჰგვანან ეს ბიჭები ლაჩრებსა და სულმოკლეებს? მხარში გიდგანან, ხედავ თუ არა?.. ნაღდები არიან, ნაღდები, წყალი არ გაუვა!

— დღეს ჩვენთან, ჩემო პატარა მეგობრებო, — წამოდგა ნანა მასწავლებელი, — სტუმრადაა დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სტალინგრადის, კურსკ-ორიოლის, ბერლინის ბრძოლების მონაწილე, რამდენიმე ორდენისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

და მედლის კავალერი, პატივცემული გერასიმე ივანეს ძე რეზნიკი, თქვენთვის კარგად ცნობილი ძია სიმა...

კახას ყბა ჩამოუვარდა მოულოდნელობისაგან. გიამ და რატიმაც პირი დააღეს.

ძია სიმა.. ომის ვეტერანი... გერასიმე ივანეს ძე რეზნიკი...

ნანა მასწავლებლის ხმა თითქოს საიდანღაც შორიდან მოისმოდა. სიტყვებს წონა დაეკარგათ, წინადადებებად ვეღარ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს...

ნანა მასწავლებლის შემდეგ ძია სიმამ ილაპარაკა, ორი-სამი საბრძოლო ეპიზოდი გაიხსენა. ამ დროს, ჩვეულებისამებრ, მოიქუფრა, სახე გაუმკაცრდა, ფოლადისფრად აუელვარდა თვალები. მერე ბავშვებს უღრუბლო ცა და ბედნიერი მომავალი უსურვა და სახეზე ისევ გადაეფინა წეღანდელი ღიმილი... როგორ უხდებოდა ის ღიმილი... ერთიანად უცვლიდა იერს!

მერე ლევანი მიესალმა სტუმარს, ქეთინომ საკუთარი ლექსი წაიკითხა, შავლეგმა — ლადო ასათიანის „სალაღობო".

ბოლოს ისევ ძია სიმა წამოდგა და გია თითით მიიხმო თავისკენ.

— მეე? — გია აიხლაზნა და მკერდზე ხელი დაიდო. გული ამოხტომაზე ჰქონდა.

— ხო. შენ, და შენ! — რატი და კახაც წამოაყენა ფეხზე თოფივით დამიზნებულმა ძია სიმას საჩვენებელმა თითმა.

„ახლა კი მოგვხვდება!" — გაიფიქრეს იმედგადაწურულმა ბიჭებმა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს და მაგიდასთან შეჩერდნენ.

ძია სიმამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან ვეებერთელა თითბრის გასაღები ამოაძვრინა.

— ახლა ცადიტ ჩემი ბახში, ადესა მოკრიპეტ და აკ მოიტანეტ! — და ბიჭებს გასაღები გაუწოდა.

გიამ სმენას არ დაუჯერა. რატიმ სუნთქვა შეიკრა და დაიძაბა.

— მერე, ძაღლი? — წამოსცდა ერთბაშად გამოცოცხლებულ კახას.

— ძაგლი არა! ძაგლი ტოკიტ დაბმული არის, — თავისებურად აურია ერთმანეთში ქართული თანხმოვნები ძია სიმამ. — ნუ გეშინიატ. ცადიტ ახლა, ბიჩო, კალატები იქ არის. გაიკეწიტ-მეტკი!

ბიჭებს გამეორება აღარ დასჭირებიათ, სამივენი ისე გასხლტნენ პიონერთა ოთახიდან, რომ წუთის შემდეგ მათი თანაკლასელებისთვის რომ გეკითხათ, დანამდვილებით ვერც კი გეტყოდნენ, საერთოდ ესწრებოდნენ თუ არა იმ დღეს რაზმის შეკრებას გია, რატი და კახა თემქელები.

# შენი უცხოელი თანატოლები

## კაპიტალის სამყაროში

კოლუმბიაში მათ ნახშირის თხუნელებს ეძახიან. სწორედ რომ, ზედგამოჭრილი სახელია: მხოლოდ ბავშვის მოქნილ, პატარა სხეულს შეუძლია იმოძრაოს ამ სიღრმეზე და ამ საშინელ სივიწროვეში, თორემ მოზრდილი ადამიანი აქ ვერც მობრუნდება. ეს მცირეწლოვანი მეშახტეები (ძირითადად 5-12 წლის ბავშვები) ასრულებენ სხვადასხვა ოპერაციებს. ზოგი, ჩაცუცქული ან გვერდზე დაწოლილი, ქვანახშირს ამტვრევს, ზოგი ნახშირით სავსე 50 კილოგრამიან ტომრებს მაღლა ეზიდება. ამ ეგრეთწოდებულ საბავშვო სექციაში ძალიან ბნელა, ზევიდან წყალი წვეთავს და ქანის ნაშალი ცვივა, ფეხქვეშ ბინძური ტლაპოებია, სუნთქვა ჭირს, რადგან ამ სიღრმეზე ჰაერი თითქმის არ აღწევს. ბავშვები გამუდმებით სასიკვდილო საფრთხეში არიან. მაგრამ მცირეწლოვანი მუშები მარჯვედ აკეთებენ საქმეს — მათ არა აქვთ განსჯის დრო. „ექტორ, — ჰკითხეს 12 წლის ბიჭუნას, — შენ ალბათ ძალიან გიჭირს შახტში მუშაობა?" ბიჭი გააოცა ასეთმა შეკითხვამ და საქმიანად, მთლად დიდი ადამიანივით უპასუხა: „კი, მაგრამ ფული ხომ უნდა ვიშოვო".

ექტორ ლადონია და მისი თანატოლები — მეშახტეები თავიანთი ასაკისთვის შეუფერებელი მძიმე შრომის გასამრჯელოდ გროშებს ღებულობენ. შახტების მეპატრონეები კი ასობით მილიონის მოგებას იღებენ მათი შრომის, მათი დაკარგული ჯანმრთელობისა და დაკარგული ბავშვობის საფასურად. მაგრამ ბავშვებმა არ იციან, რომ მათ ატყუებენ.

„კოლუმბიის ქვანახშირი, — წერდნენ შვეიცარიული გაზეთები, — დაბალ ფასებში იყიდება და ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილებაა. მსხვილი მეწარმეებისათვის ეს ძალზე სარფიანი საქმეა.

ხოლო ის, რომ პატარა მეშახტეებს სამუდამოდ აქვთ წართმეული ბავშვობის უფლება, არავის აღარდებს".

## ფილმი ნეაპოლის ღატაკთა უბნების ბავშვებზე

ნეაპოლს, მისი უბრალო ადამიანების ყოფას, მათ ბრძოლას თავისუფლებისა და უკეთესი მომავლისათვის არაერთხელ მიუპყრიათ იტალიური პროგრესული კინოს დიდი ოსტატის, ნანი ლოის ყურადღება. მისი ახალი ფილმის („უპატრონონი") მთავარი გმირები იქნებიან ნეაპოლის ღარიბთა უბნების ბავშვები, რომლებიც სიცოცხლის პირველი წლებიდანვე ხდებიან სასტიკი კაპიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისტური სინამდვილის მსხვერპლნი.

— მე უკვე დიდი ხანია მინდა შევქმნა ფილმი, — ამბობს რეჟისორი ნანი ლოი, — რომლის მოქმედება განვითარდება ნეაპოლში და რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ქალაქის ბავშვები. პატარა მსახიობებს პირდაპირ ადგილებზე, ქალაქის ღარიბთა უბნებში შევარჩევთ. ფილმი „უპატრონონი“ იქნება ნეაპოლის სინამდვილის დოკუმენტურად ზუსტი ასახვა.

## მოპარული ბავშვობა

გამხდარი, დიდთვალება რონელი, ფილიპინების მცხოვრები, ირწმუნება, რომ უკვე 12 წლისაა. მაგრამ იგი 8 წელზე მეტისა არაფრით გეგონებათ. „მე, უკვე 4 წელია, პლანტაციაში შაქრის ლერწამს ვჭრი, — გვეუბნება ბიჭუნა. — დღეში 8 საათს ვმუშაობ და საღამოსთვის ხელები სულმთლად წართმეული მაქვს ხოლმე. გასამრჯელოდ მხოლოდ 5 პესოს გვიხდიან, მაგრამ რა გაეწყობა, ჩემთვის ეს ლუკმაპურის შოვნის ერთადერთი საშუალებაა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტთა მონაცემებით, დღეისათვის მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი მცირეწლოვანი ბავშვი მუშაობს. მათ შეხვდებით არა მარტო სამხრეთ ამერიკის ბნელ შახტებში, ჩრდილო აფრიკის სახელოსნოებსა და დუქნებში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მცხუნვარე, ილაჯგამწყვეტი მზის პაპანაქებაშიც. ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის მიხედვით, განვითარებულ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზეა დიდი ბრიტანეთი — ორნახევარი მილიონი მოსწავლე აქ იძულებულია ერთ ან ორ ადგილზე იმუშაოს. მათგან 26% 13 წელზე ნაკლებიხნისაა.

თავისუფალი პროფკავშირის საერთაშორისო კონფედერაციის მონაცემებით, ამერიკაში 800 ათასზე მეტი ბავშვი იძულებულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე იშრომოს. ესპანეთში მცირეწლოვანი მუშახელის რაოდენობა 400 ათასია, დასავლეთ გერმანიაში 14 წლამდე ასაკის 60 ათასი ბავშვი დაკავებულია ისეთ სამუშაოზე, სადაც კანონი კრძალავს მცირეწლოვანთა შრომის გამოყენებას. ბავშვებს ექსპლოატაციას უწევენ საფრანგეთში, ავსტრიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, საბერძნეთში.

ბავშვთა შრომის გამოყენების შეზღუდვის ანდა სულაც აკრძალვის კანონები ამ ქვეყნებში ირღვევა ორი გარემოების გამო; ერთი მხრივ — სიღატაკე, შიმშილი, უმუშევარი მშობლები აიძულებენ ბავშვებს თვითონ ირჩინონ თავი, ხშირად კი არჩინონ ოჯახიც; მეორე მხრივ — მწარმოებლებს ხელს აძლევს იაფი მუშახელის გამოყენება. ბავშვებს ხშირად დღეში 10-12 საათს ამუშავებენ და გასამრჯელოს უფროსებზე გაცილებით ნაკლებს უხდიან. რაც მთავარია, ისინი აბსოლუტურად უუფლებონი არიან. მათ არ შეუძლიათ მიმართონ კანონს, რადგან უმეტესწილად არალეგალურად მუშაობენ. ბავშვებს არ ჰყავთ პროფკავშირები, რომლებიც დაიცავდნენ მათს ინტერესებს. მათ დაითხოვენ მაშინ, როცა მოესურვებათ. ამასთან, მეწარმეებს არაფერი ეხარჯებათ დაზღვევაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, შრომის პირობების გაუმჯობესებაზე.

... ექვსი წლის ზუხრას თხელი თითები გაუთავებლად კვანძავენ ძაფს. ვიდრე ნოხი მოიქსოვებოდეს—დღის ბოლოს—პატარა გოგონას საშინლად სტკივა ზურგი, უშეშდება, უბუჟდება თითები. მაგრამ მაროკოს ნოხებს ბევრი მუშტარი ჰყავს და პატარა მბეჭავიც დღეში 12 საათს მუშაობს.

იაპონელი ექიმების გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ ახალგაზრდები, რომელთაც შრომა 14 წლის ასაკამდე დაიწყეს, სიმაღლეში 4 სანტიმეტრით დაბლები არიან თავიანთ იმ თანატოლებთან შედარებით, რომლებიც შრომაში 18 წლის ასაკიდან ჩაებნენ, თუმცა 12 წლის ასაკში ისინი ერთი სიმაღლისანი იყვნენ.

გასულ წელს ბრიტანეთში დაახლოებით 59 ათასმა მოზარდმა მიიღო საწარმოო ტრავმა. უბედური შემთხვევების მეხუთედი ინგლისის ფერმებში 14 წლამდე ასაკის ბავშვებზე მოდის.

ასეთ მძიმე სამუშაოებზე მომუშავე ბავშვებს სრულფასოვანი განათლების მიღების საშუალება არა აქვთ და ძალზე ჩამორჩებიან თანატოლებს სკოლაში. ეს იმიტომ, რომ ბავშვის ფიზიკურსა და სულიერ ძალებს საზღვარი აქვს. ოღონდ საზღვარი არ უდევს მეწარმეთა სიხარბეს, რომლებიც მოგებისათვის არაფრის ინდობენ.

## ციფრები ამხილებენ

შეერთებულ შტატებში 500 ათასზე მეტი ბავშვი იმყოფება უპატრონო ბავშვთა სახლებში, გამოსასწორებელ კოლონიებსა და ციხეებში; 4,5 მილიონი იტანჯება შიმშილით; 900 ათასი (ზოგიერთი — 7 წლის ასაკში) დღეში 10 საათს მუშაობს; 9 ათასი ამერიკელი ბავშვი მოკლებულია სამედიცინო დახმარებას.

●

პლანეტაზე დაბადებული ყოველი მეათე ახალშობილი 1 წლის ასაკამდე კვდება.

უკანასკნელი 7 წლის მანძილზე 3 346 ნიკარაგუელი ბავშვი დაიღუპა გამოუცხადებელ ომში, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებს ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ.

ალექსანდრე გეგეჭკორი

# ჭაღარა მოგზაურები

მოთხრობა

რა თამაშებით არ ვერთობოდით ბავშვობაში! მხედველობაში მაქვს ბიჭური თამაშები. ვიზრდებოდით და ჩვენი თამაშიც რთულდებოდა — ჩვენთან ერთად იზრდებოდა და ჭკვიანდებოდა. დაჭერობანა და დამალობანა, ლახტი და ყაჩაღობანა, მერე — ასაწყობი და ნაირ-ნაირი მოდელების კეთება. შემდეგ ეს თამაშები გატაცებებმა შეცვალა, განსაკუთრებით — კოლექციონერობამ, ყველაზე უფრო კი — საფოსტო მარკების შეგროვების ჟინმა. ოცდაათიანი წლების ბიჭების რამდენი ოცნება და მისწრაფება იყო დაკავშირებული უბრალო საფოსტო მარკებთან! და მათთან ერთად ჩვენს ცხოვრებაში, ყოველ შემთხვევაში — ჩემი კლასის ბიჭების ცხოვრებაში, მძლავრად შემოაბიჯა გეოგრაფიამ. ვათვალიერებდით ამ პატარა კვადრატებს, სამკუთხედებს, ოთხკუთხედებს და ვხვდებოდით კუნძულ ბორნეოს ან ვულკან ფუძიამას, თავისუფლების ქანდაკებას და ეიფელის კოშკს, წმინდა პეტრეს ტაძარს და საადმირალოს შპილს. ვხვდებოდით მათ და სურვილით ვინთებოდით, რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ჩქარა შეგვეტყო ამ საოცრებებზე, ბუნების თუ ადამიანის ხელთქმნილ სასწაულებზე.

თავიდან გეოგრაფიის მასწავლებელმა გვირჩია ქალაქობანა გვეთამაშა. მოთამაშეთა რაოდენობა არ იყო განსაზღვრული. რამდენ კაცსაც უნდოდა, იმდენი ითამაშებდა. წესი კი ასეთი იყო: ერთი დაასახელებდა რომელიმე ქალაქს, ვთქვათ ბაქოს, მეორეს უნდა დაესახელებინა ისეთი ქალაქი, რომლის სახელიც წინას ბოლო ასოდან იწყებოდა, ვთქვათ ოსლო, და ა. შ. ერთი ქალაქის ხელახლა დასახელება არ შეიძლებოდა.

ცოტა მოგვიანებით სხვა თამაშმა გაგვიტაცა. ავიღებდით რომელიმე სახელმძღვანელოს, დავთქვამდით, გვენახა, ვთქვათ, 27-ე გვერდის, ზემოდან მე-11 სტრიქონის ბოლო ასო. რა ასოც გამოდგებოდა, იმ ასოზე დაწყებული ოთხი ქალაქი, სამი სახელმწიფო, სამი მდინარე და ორი მწვერვალი უნდა ჩამოგვეწერა. ავიღებდით საწერ-კალამს, ჩავრგავდით ცხვირს ქაღალდში და ვფიქრობდით. თუ რომელიმე სახელწოდება მარტო ერთს ექნებოდა მოხსენიებული, ის ხუთ ქულას იღებდა, ერთი ან ორი დამთხვევისათვის ოთხ-ოთხი ქულა გვეწერებოდა, ხუთ დამთხვევაზე — სამ-სამი; მაგრამ უფრო მეტს თუ ექნებოდა ერთი და იგივე დასახელება, თითოეული ორიანს იმსახურებდა. უნდა გენახათ, რა ინტერესით, რა აზარტით ვთამაშობდით.

მერე კი მოგზაურობას შევუდექით. ჩვეულებრივ, ოთხნი ვთამაშობდით. გადავშლიდით ილინის ძველებურ ვეებერთელა ატლასს და ამოვირჩევდით მარშრუტს, ვთქვათ, ლენინგრადიდან ოდესამდე—ზღვით. სამნი ატლასზე იხრებოდნენ, მეოთხე მათკენ ზურგით ჯდებოდა და სამოგზაუროთ გასწევდა. გზად არცერთი ზღვა თუ სრუტე, არცერთი ნავსადგური და ქალაქი, არც სახელმწიფო, არც დიდი მდინარის შესართავი არ უნდა გამორჩენოდა. ყოველ გამოტოვებაზე სამი წკიპურტი ხვდებოდა თავში. სასარგებლოც იყო და სახალისოც.

ჩვენს ამ გართობას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ორი მოხუცი, რომლებიც ხშირად, მგონი ყოველ საღამოს შემოდიოდნენ ჩვენს ოჯახში სტუმრად. გულღია მასპინძლები, დიდი და წყნარი ოთახი და უზარმაზარი კაფელის ღუმელი კეთილად ეგებებოდა მათ.

ორივენი ოჯახის ახლობლები იყვნენ, ძველ დროში გიმნაზია ჰქონდათ დამთავრებული და იმ დროისათვის, რომელზეც მე მოგითხრობთ, ორივე უკვე პენსიონერი იყო. ვასილ გოლოვინი ადრე როსტოვში მუშაობდა და დიდი მეგობრობა აკავშირებდა იქ გადასახლებულ ქართველ რევოლუციონერებთან; მეორე კი ბაბუაჩემის ბიძაშვილი გახლდათ — ჩინებული მოსაუბრე და მრავალმხრივ საინტერესო ადამიანი. ჩვენ ყველანი — დიდი და პატარა — სიყვარულით ედუარდ ბიძიას ვეძახდით და დიდ ანგარიშს ვუწევდით მის ყოველ სიტყვას.

ზემოთ ვთქვი, რომ ისინი სტუმრად შემოდიოდნენ ოჯახში. მაგრამ არა. იმდენად შინაურები იყვნენ, რომ თავს საკუთარ სახლში გრძნობდნენ და რაკი ერთმანეთთან მუსაიფი ყველაფერს ერჩიათ, ერთად მოკალათდებოდნენ ხოლმე ღუმელთან და ხან მშვიდობიანად ბაასობდნენ, ხან ისე შეკამათდებოდნენ, გეგონებოდა, სადაც არის მუშტი-კრივზე გადავლენო.

და ერთ მშვენიერ დღეს აგვყვნენ... ალბათ მოგეხსენებათ, ყველა მოხუცი რაღაცნაირად ბავშვია. და მათაც ბავშვური გატაცებით დაიწყეს თამაში, ოღონდ არც ფურცლები და ფანქრები მოუმარჯვებიათ, არც გეოგრაფიული რუკები და ატლასები.

თამაშ-თამაშით, ვითომ სახუმაროდ წამოიწყეს და გაუტიეს... თან ჩუმად ჩვენც გვითვალთვალებდნენ, ჩვენი თანდათან გაცხოველებული ინტერესი და გულისყური თითქოს შთაგონებას მატებდათ.

— მაინც რა სილამაზეა, ვასო, ვენეციის არხები! 150 არხი და ზედ გადებული 400 ხიდი...

— ან დოჟების სასახლე...

— დოჟების სასახლე მშვენიერია, მაგრამ ხიდები მაინც განუმეორებელ, თავისებურ ელფერს ანიჭებს ვენეციას. ან რა ლამაზი სახელები აქვთ... მაგალითად, „ოხვრათა ხიდი“.

— ლენინგრადის ხიდებიც ძალიან ლამაზია... და იქაც ბლომად არის — 360. საერთოდაც, ლენინგრადი სულ სხვაა...

—მე მოსკოვი მირჩევნია ლენინგრადს... თეთრი, ქათქათა ტაძრები, ძველებური მდიდრული სახლები, ვიწრო შესახვევები და ფართო გამზირები...

თანდათან ბიჭების თვალწინ ცოცხლდებოდა წიგნის ბაზრობები, ბუხარა და სამარყანდი, თემურლენგის აკლდამა და სკვითების ძველთაძველი სამარხები, ბაიკალის ტბის ზღაპრული სილამაზე და მდინარეები, რომლებიც მთელ რუსეთს სერავდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ თუ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ...

შემდეგ სალამოს ჩვენი მოხუცების ფეხდაფეხ მწვერვალებს მოვივლიდით, ბანგკოკის ბუდისტურ ტაძრებში შევიხედავდით და ინდოეთში ტაჯ-მაჰალის მდუმარებას მოვუსმენდით, შანხაის სამიკიტნოებსაც მოვინახულებდით და ტოკიოს გინძასაც.



შემდეგ ისევ ევროპაში გადავინაცვლებდით — ხან დრეზდენის გალერეას ვათვალიერებდით, ხან სტამბულის აია სოფიას ტაძარს. ხან კოპენჰაგენში ანდერსენის ალის ძეგლთან ვიდექით აღელვებული და ხან, რაც ყველაზე მეტად გვიჩქროლებდა გულს, ლონდონში, ბეიკერ სტრიტზე შერლოკ ჰოლმსის სახლში შევდიოდით ფეხაკრეფით. რაკი ლიტერატურულ გმირებზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, განა შეიძლებოდა პარიზში მდინარე სენას ხიდზე არ შევხვედროდით ათოსს, პორთოსს, არამისსა და დარტანიანს! აქ მოხვედრილი კაცი კი ნოტრდამთან რომ არ მისულიყო, გაგონილა! ტაძრის ქიმერებს სასწრაფოდ მივესალმებოდით და ისევ მუშკეტერებთან ერთად ვიჩქაროდით ლუვრის ჩაბნელებული დერეფნებისკენ.

ერთხელაც ჩვენი მოგზაურები დასავლეთ ნახევარსფეროში გაემგზავრნენ და რა არ დაგვანახვეს—ბროდვეი და პოტომაკი, მლაშე ტბები და კოპაკაბანას პლიაჟი რიოში, სან-ფრანცისკოს ჩინური კვარტალი და ამაზონი, ინკები და ნავახო, ზანგები და მეტისები...

მოგზაურობისას ჩვენს მოხუცებს ზოგჯერ ჩხუბიც მოსდიოდათ — ერთი რომ ერთ მხარეს მოინდომებდა წასვლას, მეორეს სხვაგან მიუწევდა გული, ვერ შეთანხმდებოდნენ.

მაგრამ ერთი დიდი სიყვარული კი საერთო ჰქონდათ. როცა რომზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ერთმანეთს არ აცლიდნენ:

—არა, წარმოიდგინე, ედუარდ, ვითომ ძველ ფორუმთან ხარ და რომის კედლების წარწერებს კითხულობ!

—აბა! რა იქნება, არა, ვასო! წამო ერთი, რომის მოედანზე გავისეირნოთ — ნავონის, დე ლა რეპუბლიკას, კამპო დე ფიორის... აგერ, ჯორდანო ბრუნოს ძეგლიც.

— ახლა ტიტუსისა და ტროიანეს თაღებქვეშ გავიაროთ, ხომ იცი, სალამო მაინც ზღაპრული დროა რომში. ცოტა ხანს რომაული კვიპაროსებისა და ფიჭვების იდუმალებას შევერწყათ და მერე აპიუსის გზაზე გავიდეთ.

—გავიდეთ, უსათუოდ გავიდეთ. მაინც რა საოცრებაა, არა, ეს მოკირწყლული გზა, რომელიც ჩვენს ერამდე 312 წელს გაიყვანეს და ახლაც ემსახურება ადამიანებს?!

—დაიცადე, შეხედე, სადა ვართ! რომის მუნიციპალიტეტის წინ, აი, მისი მთავარი ღირსშესანიშნაობა — წითელი გერბი ყვითელი წარწერით **SPOR**. ხომ იცი, რასაც ნიშნავს ეს **SPOR**?

—როგორ არ ვიცი! „სენატი და რომაელი ხალხი“. მაგრამ სიძველეებს ახლა მოვეშვათ. ყურადღება მიაქციე, რამდენი საბავშვო ეტლია რომის ქუჩებში!

—მართლა! იცი, რა გამახსენდა, პარიზში, გადასასვლელთან, ბავშვის ეტლით ქალი რომ გამოჩნდება, პოლიციელი (შუპო) მოძრაობას აჩერებს თურმე: შეჩერდით! მოდის საფრანგეთის მომავალი მოქალაქე!

...ჩვენ, ბიჭებს, ატლასი და საწერკალამი განზე გვქონდა გადადებული და სულგანაბული ვუსმენდით ბებერ მოგზაურებს. ვუსმენდით და ჩვენს თავში ირეოდა გეოგრაფია და ისტორია, ხელოვნება, ქალაქთმშენებლობა და ჰერალდიკა. ჩვენს ფართოდ გახელილ თვალებში კი გაოცება იხატებოდა — იმიტომ, რომ ყველამ ვიცოდით — ედუარდი და ვასო არსად, არცერთ ამ ქვეყანასა და ქალაქში ნამყოფნი არ იყვნენ. ხეირიანად საქართველოს მთებიც კი არ ენახათ, გარდა მყინვარწვერისა, რომელიც კარგ ამინდში მშვენივრად მოჩანს თბილისის ზოგი ადგილიდან.

მთაწმინდაზე მდგომი ჩვენი სახლის ფართო აივნიდან კი მყინვარწვერი ხშირად მოჩანდა...

ნიკა ღიმილით
ეკითხება გურის — ძმას უფროსს: —
— საჭმელებიდან
რა გიზიდავს ყველაზე უფრო?
— საჭმელებიდან, —
თავმომწონედ პასუხობს გური, —
ყველაზე უფრო
ჩემო ძმაო, მე მიყვარს პური!
— მწვადი არ გიყვარს?
— სიყვარულით ბევრ რამეს ვყვარობ,
მაგრამ პურია
ჩვენი სულდგმის წყაროთა წყარო!
ვახშამს მივირთმევთ
სალამოს თუ საუზმეს — დილით,
პურის გარეშე
იჯრას ვერროს ვერ გადავივლით!
დიახ, ნამდვილად



მოვყევ ჩანჩქერთა ალყაში,
ბედზე არა ვარ მწყრალი,
ყვავილიანი მოლი მაქვს,
კალმახიანი წყალი.
ფერდობზე მურთხი კრიახობს,
ბაღში ბულბული გალობს,
თავთუხიანი ყანა მაქვს,
ზარაქიანი კალო.

მამას ზვარში ეხმარება
თადე-ბიჭი — თოხნის, ბარავს,
სწავლობს, შრომობს, არ ისვენებს;
მაინც ამბობს: — არა კმარა!
სწავლის ფრიადოსანია,
წელს რვა კლასი დაამთავრა
და ყველაფერს ასწრებს, მაგრამ
მაინც ამბობს: — არა კმარა!
თუ დასჭირდა, ტრაქტორს მართავს,
ისე მარჯვედ, ისე ჩქარა,
ტრაქტორისტიც ველარ ჯობნის;
მაინც ამბობს: — არა კმარა!

ქ ი შ ვ ა რ დ ი ს ა კ ა ძ ე

## პურის სადიდებელი

იმაშია პურის დიდება,
საზრდოთა შორის
მხოლოდ იგი არა გვწყინდება.
პურისთვის ჩვენი
წინაპრები ხშირად თავს დებდნენ;
ვრცელ ხნულებში ხომ
მრავალნაირ ქართულ თესლს
სთესდნენ,

ნამცეცი რაა,
მასაც არსად გადააგდებდნენ.
დღეს კი, რატომღაც,
დაივიწყა ძალიან ბევრმა,
რომ პურს სჭირდება

გ ი ო რ გ ი გ ი გ ა უ რ ი

## სახლი არაგვის პირას

სახლი მაქვს სიპით ნაგები,
ქონგურიანი ციხე,
კოშკი ყველაზე მაღალი,
თავზე სხივებს რომ იხვევს.
გზები ქვა-კიბირჭიანი,
ქარში ნაწრთობი გზები,
წრიაპს გაუდის წკრიალი
და ამ წკრიალით ვტკბები.
სკოლა მაქვს ფანჯრებბდღვრიალა,
ძელზარიანი სკოლა,
აგუგუნდება და გული
ჩიტივით იწყებს თრთოლას.
ყოველ განთიადს ამ ზარით,
ამ სიხარულით ვხვდები,

ე ვ გ ე ნ ი ბ ა რ თ ა ი ა

## თადე და თაყა

ფეხბურთიც კი უყვარს, მაგრამ
არ თამაშობს წარამარა,
მენახირეც კია ზოგჯერ;
მაინც ამბობს: — არა კმარა!
ბაღ-ბოსტანშიც შეიხედავს
მშობლის გულის გასახარად,
გასხლავს, მორწყავს საიმედოდ;
მაინც ამბობს: — არა კმარა!
მაშინ რა თქვას თაყა-ბიჭმა,

საგანგებო პატივისცემა.
ამიტომაა,
როს მენაგვეს ნაგავი მიაქვს,
ძარაში, ხშირად,
ხელუხლებელ პურებსაც პყრიან.
არამც თუ მთელი,
პურის მომცრო ნაჭერი თუნდაც,
ყველამ, ბებოსებრ,
ორცხობილად აქციოს უნდა!
პურის მომჭირნედ
ხარჯვა ყველგან რომ დამკვიდრდება,
სამშობლო უფრო
აყვავდება და გამდიდრდება!
ამდენი რამე
მიტომ გითხარ, ჩემო ძამიკო,
რომ პურის ყადრი
აქედანვე უნდა გაიგო!

ვინც რეკავს, —
მთების შვილია,
ხევისბერია მთების!
მეძახის,
რწმენით მივყვები,
როგორც მიმინოს — მართვე,
გადაუხდელი ვალია,
მისი ვალი რომ მმართებს!
რაზმი მყავს გულსაყოლილი,
უბეჯითესი რაზმი,
ნამდვილი არაგველები
საქმით, ფიქრით და აზრით...
მდინარის პირას სახლი მაქვს
და ბჭემაღალი სკოლა,
დარეკავს ზარი, და გული
ჩიტივით იწყებს თრთოლვას.

ზარმაცმა და აზეზარამ,
რომ არც სწავლობს და არც
შრომობს,
ქარს რომ დასდევს შარა-შარა?!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კლასგარეშე



# ინფორმატიკა

ახლა იშვიათად შეხვდებით მოსწავლეს, მით უფრო ბიჭს, ტექნიკა რომ არ იტაცებდეს, მოუთმენლად რომ არ ელოდეს სასკოლო ინვენტარს შორის პერსონალური ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანის გამოჩენას, სასწავლო პროგრამებში ახალი დისციპლინის — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების შემოღებას.

ჩვენი საუკუნე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეა. ეს ფაქტი უამრავ სიურპრიზსა და სიახლეს გულისხმობს. სწორედ ამ სიახლეთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის დანახვაში გვეხმარება ინფორმატიკა, მეცნიერება, რომელიც, მათემატიკის მსგავსად, თავისი არსებობის გამართლებას ხედავს სხვა მეცნიერებათა სამსახურში, მათთვის კვლევის უახლესი მეთოდების შეთავაზებაში. ეს მეთოდები უკვე წარმატებით გამოიყენეს მთელი რიგი გამოთვლების ჩასატარებლად ატომის ფიზიკასა და მფრინავი აპარატურის მექანიკაში, ეკონომიკასა და ადმინისტრაციულ მართვაში, საწარმოო პროცესების მართვასა და ავტომატურ დაპროექტებაში.

ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანა (ეგმ), იგივე კომპიუტერი, მეცნიერების ამ ახალი დარგისათვის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალება ინფორმაციის დასამუშავებლად. უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ მანქანის შესაძლებლობები; კომპიუტერს შეუძლია გაგვარკვიოს, დედამიწის რომელი წერტილიდან რა სიჩქარითა და დედამიწის ეკვატორისადმი რა კუთხით უნდა აიჭრას რაკეტა, რომ მთვარეს გარს შემოუფრინოს, ეგმ-ის ეკრანზე — დისპლეიზე თავისუფლად შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ქიმიური ცდა, ადვილად დასამახსოვრებელი ექსპერიმენტები ბიოლოგიაში, ისტორიაში, გეომეტრიაში, გეოგრაფიაში... კომპიუტერის დახმარებით მასწავლებელს შეუძლია შექმნას პროგრამები სასურველი თემების გასაშუქებლად. აი, რატომ გვარწმუნებენ სპეციალისტები, რომ ოცი წლის შემდეგ ვერცერთი პედაგოგი ვერ შეძლებს მასწავლებლობას, თუ თავის მუშაობაში ეგმ არ გამოიყენა.

თქვენ ალბათ ჯერ არ გინახავთ კომპიუტერი, რომელიც ხატავს და ქსოვს ორნამენტებს, იკვლევს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას, თამაშობს ჭადრაკს, ქმნის მულტფილმებს, ახდენს ხმის სინთეზს; იქნებ არც ის გაგიგიათ, რა მოხდა რამდენიმე წლის წინათ იაპონიაში. ერთ დღეს იაპონელმა რადიომსმენელმა მოისმინა ქალის მელოდიური ხმა, რომელიც იტალიურ ენაზე ამბობდა: „მე ვარ მონა ლიზა, დავიბადე ფლორენციაში, ჩემი პორტრეტი დახატა ლეონარდო და ვინჩიმ, როცა ვიყავი 26 წლისა“. დიახ, ეს გახლდათ ლეონარდო და ვინჩის უკვდავი „ჯოკონდას“ ხმა. სპეციალისტებმა იგი შექმნეს ქალის სახის თითოეული ნაკვთის შესწავლის საფუძველზე და აამღერეს ხმის სინთეზატორის დახმარებით. ამ გამარჯვებას სულ მალე მოჰყვა თავად ლეონარდო და ვინჩის ახალგაზრდობისდროინდელი პორტრეტი. იგი იაპონელმა მეცნიერებმა იმავე მეთოდით „გააცოცხლეს და გაახალგაზრდავეს“.

აი, სამყარო მეცნიერების ახალი დარგისა, რომლის კლასგარეშე შესწავლასაც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე გთავაზობთ... თქვენ აქ საშუალება გექნებათ, გაეცნოთ ანგარიშისა და გამოთვლის არა მარტო თანამედროვე, არამედ საუკუნეების წინათ არსებულ საშუალებებს. ეს ყველაფერი კი გასააზრებლად ძალიან რთულია, ამიტომაც მივიჩნევთ საჭიროდ, განგიმარტოთ, რომ ჩვენი ჟურნალის ამ ახალი განყოფილების მასალები ძირითადად მიმართულია მეშვიდე-მერვეკლასელთათვის, მათთვის, ვისაც დღეს-ხვალ მოუწევს ელექტრონულ-გამოთვლით მანქანასთან მუშაობის ჩვევების გამომუშავება. უმცროსკლასელ პიონერებს კი ვურჩევთ, შეინახონ ჩვენი ჟურნალის ეს ნომრები და კიდევ ერთხელ ყურადღებით წაიკითხონ სწორედ მაშინ, როცა ახალი საგნის — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების შესწავლის ზღურბლთან აღმოჩნდებიან.

დაიმახსოვრეთ: ახალი რუბრიკით „კლასგარეშე ინფორმატიკა“ პერიოდულად მოგიწვევთ საინტერესო საუბრებზე, რომლებიც ალბათ თქვენი მომავალი სასკოლო წარმატებების ერთ-ერთი საფუძველიც გახდება. შეხვედრებს წარმართავს ბევრი თქვენგანისთვის კარგად ცნობილი მეცნიერი, „მცირე აკადემიების“ ერთ-ერთი მოამაგე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგმ-ის მათემატიკური უზრუნველყოფის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ჰამლეტ მელაძე. მაშ, ასე — საუბარი პირველი.

## ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანა სკოლაში

ჩემო უმცროსო მეგობრებო! ალბათ უკვე ყური შეაჩვიეთ სიტყვებს — „ინფორმატიკა“, „გამოთვლითი მანქანა“, „მათემატიკური მოდელირება“. დარწმუნებული ვარ, დიდი ინტერესით ელით ახალი საგნის—ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების შესწავლის დაწყებას. თქვენს სასკოლო პროგრამებში ამ ტერმინების დამკვიდრება იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე დღის წესრიგში დგას საყოველთაო კომპიუტერული განათლების საკითხი, ასეთია სასკოლო რეფორმის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანიც, სასკოლო რეფორმისა, რომლის შესახებაც თქვენ ამდენი რამ გაგიგონიათ.

მოვუსმინოთ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ერთ-ერთ წამყვან საბჭოთა სპეციალისტს აკადემიკოს ა. ერშოვს: თუ წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ, განვითარებამ და გავრცელებამ განაპირობა საყოველთაო განათლების საერთო დონის ამაღლება, გამოთვლითი მანქანების განვითარება და გავრცელება აუცილებლად მიგვიყვანს საყოველთაო პროგრამირებამდე. ამიტომ არის, რომ ახლა, მიკროპროცესორების

შექმნის შემდეგ, უკვე უაზრობაა დავა იმის შესახებ, შევიტანოთ თუ არა გამოთვლითი მანქანა სკოლაში. სასკოლო მუშაობის გასული სასწავლო წლის პრაქტიკამ მიახლოებითი წარმოდგენა შეგვიქმნათ გამოთვლით მანქანაზე. მათი რაოდენობა სკოლაში კი ხვალ კიდევ უფრო გაიზრდება და მათი ათვისების აუცილებლობა ჩვენგანაც ძალზე აქტიურ მუშაობას მოითხოვს.

ინფორმატიკაზე, ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებზე საუბარი ხშირად მოზრდილებშიც სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო რეაქციებს, ზოგჯერ სერიოზულ შეშფოთებასაც კი იწვევს. ელექტრონულ-გამოთვლით მანქანებზე უკვე იმდენი შეხედულებაა გამოთქმული, რომ მათ შორის ყველაზე გავრცელებულები შეიძლება დავაჯგუფოთ კიდეც: პირველი ჯგუფის შეხედულებით, მანქანის ბატონობა ადამიანებზე გარდაუვალია, რადგან იგი წარმოშობს მოვლენებს, რომელთა მართვა ადამიანს აღარ შეუძლია („ამ მანქანების გამო მალე საჭირონიც არ ვიქნებით", „რობოტი დაიმორჩილებს ადამიანს" და ა. შ.); მეორე ჯგუფის შეხედულებით, გამოთვლით მანქანებს განუსაზღვრელი შესაძლებლობები აქვს და მათი საშუალებით სულ მალე შეიძლება საოცარი გარდაქმნების მოწმენი გავხდეთ; მესამე ჯგუფში შემავალნი კი საერთოდ უგულებელყოფენ გამოთვლითი მანქანების როლს საზოგადოების განვითარებაში.

ჩვენი საუბრების მიზანი არ გახლავთ ზემოთ მოყვანილ შეხედულებათა შესახებ მსჯელობა, არც იმას ვაპირებთ, დაგარწმუნოთ გამოთვლითი მანქანების უპერსპექტივობაში.




ჩვენ მხოლოდ გვინდა მოგითხროთ, ერთი მხრივ, იმ შესაძლებლობებზე, რომელთაც ინფორმატიკა გვთავაზობს, ხოლო, მეორე მხრივ, იმაზე, რომ გამოთვლითი მანქანები ნამდვილად არ იმსახურებენ „არც ასეთ უდიდეს პატივსა და არც ასეთ არაფრად ჩაგდებას".

შესანიშნავადაა ნათქვამი: ეს მანქანები წარმოადგენენ მძლავრ, მაგრამ, ამავე დროს, მეტად მარტივ იარაღს, მათი მოჩვენებითი სირთულე კი ხშირად უფლებას გვაძლევს, მათ მივაწეროთ ის წარმატებებიცა და ის მარცხიც, რომლებზეც სინამდვილეში ადამიანია პასუხისმგებელი...

ახლა კი შეძლებისდაგვარად შევეცდებით, დავაკმაყოფილოთ თქვენი ცნობისმოყვარეობა. ჯერ ვცადოთ გავერკვეთ, რა არის ინფორმატიკა...

ცხადია, ამისათვის თქვენთან ერთად უნდა მივმართოთ ცნობილ მეცნიერთა წიგნებს, ენციკლოპედიებს თუ ენციკლოპედიურ ლექსიკონებს. მაგრამ სულ ტყუილუბრალოდ გავირჯებით, თუ ადრეულ გამოცემებს მივმართავთ, რადგან მათში ვერ აღმოვაჩენთ სტატიას ინფორმატიკის შესახებ. ეს ტერმინი ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოს დამკვიდრდა.

ზოგიერთ წიგნში (მათ შორის იმათშიც, რომლებიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ) შევხვდებით ინფორმატიკის ასეთ განმარტებას — ინფორმატიკა არის თეორია ინფორმაციის დამუშავების შესახებ. თქვენ ალბათ იფიქრებთ, რომ აქ ლაპარაკია რაღაც ბურუსით მოცულ ცნებაზე, რომელიც თვით წიგნის ავტორებსაც კი აშინებთ. და არც შეცდებით, რადგან „ინფორმატიკის" მყარად განსაზღვრული განმარტება ჯერჯერობით არც კი არსებობს. ამან არ უნდა გაგაკვირვოთ, რადგან „ინფორმატიკა" იმდენად ახალგაზრდა მეცნიერებაა, რომ ჯერ კიდევ არა აქვს კარგად დადგენილი თავისი სამფლობელოსა თუ სამეფოს საზღვრები, ხოლო, როგორც ჩვენი დღევანდელობა გვარწმუნებს, ეს საზღვრები სულ უფრო ფართოვდება.

ახლა „საზოგადოებრივ აზრსაც" მივმართოთ კითხვით, შევეკითხოთ ცნობილ მეცნიერებს... ძირითადად მივიღებთ ორგვარ განსაზღვრებას:

„ინფორმატიკა არის მეცნიერება ინფორმაციის ავტომატური დამუშავების შესახებ“, და... „ინფორმატიკა არის მეცნიერება გამოთვლითი მანქანების შესახებ“.

რომ არ დავიბნეთ, რაღაც დათმობაზე უნდა წავიდეთ. შევთანხმდეთ განმარტებაზე — „ინფორმატიკა არის მეცნიერება გამოთვლითი მანქანების საშუალებით ინფორმაციის დამუშავების შესახებ“, მაგრამ ჯერ გავშიფროთ ცნებები — „ინფორმატიკა“ და „გამოთვლითი მანქანა“.

უკანასკნელ ხანებში ინფორმატიკის სამფლობელოს მათემატიკის ზოგიერთ დარგსაც მიაკუთვნებენ. ამგვარად ჩნდება ახალი მიმართულება — გამოთვლითი ექსპერიმენტი, რომლის მიზანია რეალურ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ექსპერიმენტთა მოდელირება გამოთვლითი მანქანების მეშვეობით. აი, რა ძნელი ამოცანის წინაშე აღმოჩნდება ყველა ის, ვინც მოისურვებს „ინფორმატიკის“ ცნების ზუსტ განმარტებას.

ამიტომაც უფრო სერიოზული მსჯელობა ამ საკითხზე ხვალინდელ დღეს მივანდოთ, როცა სათანადოდ გავეცნობით გამოთვლითი მანქანის აგებულებას, მასთან მუშაობის ძირითად პრინციპებს, ასევე, გამოთვლითი მანქანის საშუალებით სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავების ხერხებს. ჩვენ ვაპირებთ მოგითხროთ აგრეთვე გამოყენებითი მათემატიკის შესახებ, შემოგთავაზოთ ზოგიერთი საინტერესო ამოცანა, რომლებიც მისი დახმარებით ამოიხსნება.

იმედი გვაქვს, ეს საუბრები დაგეხმარებათ გაერკვეთ ძირითად ცვლილებებში, რომლებსაც ცხოვრებაში შემოიტანს გამოთვლითი მანქანის პრაქტიკაში დანერგვა; დაგეხმარებათ, მოემზადოთ ისეთი სერიოზული კურსის შესასწავლად, როგორიცაა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“.

მაშ, მომავალ შეხვედრამდე, მომავალ საუბრამდე, რომელშიც ინფორმატიკის ძირითად მეთოდს — მათემატიკურ მოდელირებას მიმოვიხილავთ.

ჰამლეტ მელაძე




ყურადღება! ვიწყებთ დისკუსიას

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

# „მოსწავლის საზოგადოებრივი აქტიურობა“

ძალზე ხშირად რედაქციაში შემოსულ წერილებში პიონერებიცა და მათი ხელმძღვანელებიც ეხებიან მოსწავლეთა საზოგადოებრივ აქტიურობას და ამასთან თითქმის ყოველთვის გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი მუშაობის „ჭაპანს“ მათ რაზმსა თუ რაზმეულში ერთი მუჭა აქტივისტები ეწევიან, დანარჩენები კი გულგრილ მაყურებლებად, უკეთეს შემთხვევაში კი, მომზადებული ღონისძიებების მონაწილეებად რჩებიან, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, ამ ერთ მუჭას კვლავ და კვლავ გოგონები შეადგენენ. აწუხებთ წერილების ავტორებს ის ამბავიც, რომ არცთუ იშვიათად საზოგადოებრივ მუშაობას გაურბიან ფრიადოსნები, რომლებიც ვერაფრისთვის ვერ იცლიან, გარდა სწავლისა. მათ მშობლებიც უბამენ მხარს: ჩემი შვილის საქმე სწავლაა, დანარჩენი სხვებმა აკეთონო.

ბევრჯერ გამახვილებულა ყურადღება ამ საკითხთან დაკავშირებულ მომენტებზე პიონერებთან და პიონერხელმძღვანელებთან სხვადასხვა სახის შეხვედრა-საუბრების მსვლელობისას.

მართლაც და მნიშვნელოვანი, მტკივნეული საკითხია. მოდით, უბრალოდ თვალი გავადევნოთ — პასიური პიონერი პოტენციური პასიური კომკავშირელი, მომავალში კი საზოგადოების პასიური წევრია, რომელიც ყოველთვის გაჩუმებას, განზე დგომას არჩევს; ზედმეტ დატვირთვას ერიდება და ფიქრობს, რომ საკმარისია კარგად აკეთოს მისი უშუალო საქმე, დანარჩენი კი სხვისი საზრუნავია. ჩვენი დღევანდელობა, და მით უმეტეს სახვალიო, სამომავლო გრანდიოზული ამოცანები კი არავის აძლევს ამის უფლებას.

ალბათ უკვე ხვდებით, რა თემა გვინდა შემოგთავაზოთ მორიგი დისკუსიისათვის. დიახ, გიწვევთ მოსწავლეთა საზოგადოებრივ აქტიურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ, საკამათოდ. როგორ გესმით, როგორ გესახებათ საზოგადოებრივი აქტიურობა? რა აზრის ხართ, ხომ არ უშლის მოსწავლეს სწავლაში საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა? რატომ გაურბიან ბიჭები მას? და ა. შ.

მაშ ასე, ვიწყებთ „პიონერის“ მორიგ დისკუსიას — „მოსწავლის საზოგადოებრივი აქტიურობა“.

# სინდისის ქენჯნა

მოგონება

ახლა ჩემი შვილიშვილები არიან იმხელები, რამხელაც მე ვიყავი მაშინ, როდესაც ეს ამბავი შემემთხვა. მაგრამ იგი დღემდე მოსვენებას არ მაძლევს, ხშირად მაგონდება და სინდისის ქენჯნას ვგრძნობ.

იმ დღეს მოზარდ მაყურებელთა თეატრში ჩვენი აბონემენტის მორიგი სპექტაკლი გადიოდა. მარტის ბოლო დღეები იდგა. გაზაფხულის არდადეგებზე ჩვენთან ჩემი ბიძაშვილი იყო ჩამოსული სტუმრად.

დილით დედა სამსახურში რომ მიდიოდა, როგორც ყოველთვის, გამაღვიძა, თავზე ხელი გადამისვა და თან მითხრა: — მაგიდაზე ფული დავტოვე თინიკოს ბილეთისათვის. აბა, თქვენ იცით, ჭკუით იყავით!

დედა წავიდა, მე მაშინვე ავდექი, ჩემი ლოგინი გავასწორე, ხელ-პირი დავიბანე. მალე თინიკოც წამოფრინდა და ერთად დავტრიალდით. საუზმის შემდეგ ჭურჭელი დავრეცხეთ, ოთახი მივალაგეთ და ამასობა-



18-216

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ში ჩვენი წასვლის დროც მოვიდა.

ტრანსპორტით სამგზავრო ფული არ გვქონდა, ფეხით უნდა წავსულიყავით თეატრში. ჩახრუხაძის ქუჩაზე ვცხოვრობდით და საკმაო მანძილი გვქონდა გასავლელი, მაგრამ ეს სულაც არ გვანაღვლებდა. პირიქით, თინიკოს უხაროდა ქალაქში სეირნობა და მეც მეტი რა მინდოდა, თუკი სტუმარი კმაყოფილი მეყოლებოდა.

თეატრის პირდაპირ იყო წიგნის მაღაზია „ტექნიკა და შრომა". თინიკოს მაღაზიაში შესვლა შევთავაზე. დამეთანხმა. ჯერ წიგნების თაროები ჩავათვალიერეთ, შემდეგ საკანცელარიო განყოფილებას მივადექით. სხვადასხვა წვრილ საკანცელარიო საქონელს შორის მაშინვე მომხვდა თვალში სახატავი ალბომი. ძალიან მინდოდა ასეთი ალბომი მქონოდა. ფასს დავხედე, ალბომი ზუსტად იმდენი ღირდა, რაც თეატრის ბილეთი. ესე იგი, ალბომის საყიდლად ფული მაქვს, — გავიფიქრე მე და თინიკოს მივუბრუნდი, რომელიც ჩემსავით ვიტრინის თვალიერებით იყო გართული. ვყოყმანობდი, მერიდებოდა ჩემი აზრის გამხელა, მაგრამ ვიცოდი, რომ მარტოხელად დარჩენილ დედას უჭირდა ოჯახის შენახვა და მე ვერც კი ვუბედავდი, რომ ალბომისათვის ფული მეთხოვა, ამიტომ საბოლოოდ გადავწყვიტე ალბომის ყიდვა, ვიფიქრე, რომ დედა არ გამიწყრებოდა და თინიკოს გავანდე ჩემი განზრახვა.

— მერე, თეატრი? — წამოიძახა მან, როდესაც ალბომის ამბავი ვუთხარი.

— ნუ გეშინია! შენ ჩემს ამხანაგებთან ერთად შეგიშვებ თეატრში ჩემი აბონემენტით, მე კი სპექტაკლის დამთავრებამდე გარეთ დაგელოდები.

— კარგი. რახან ასე ძლიერ გინდა, იყიდე.

ვიყიდე ალბომი, მარცხენა ხელით გულზე მივიხუტე, მარჯვენა ხელი თინიკოს ჩავავლე და ჩქარი ნაბიჯით განვაგრძეთ გზა. თეატრამდე არცერთს ხმა აღარ ამოგვიღია.

თეატრის შენობის წინ ბავშვები ირეოდნენ, მე ორი თანაკლასელი მოვძებნე. ბედზე, თინიკო მათ იცნობდა. ამან გუნება ცოტა გამოუკეთა. გოგონებმა ერთმანეთი მოიკითხეს, შემდეგ მე ნელის და მაიას ვითარება ავუხსენი. ნელიმ ტუჩები დაბრიცა და მხრები აიჩეჩა, შემდეგ მაიას გადახედა, რომელიც ისეთი სევდიანი თვალებით შემომცქეროდა, თითქოს ის რჩებოდა გარეთ, და არა მე. უხერხულობის გასაფანტად თინიკოს ლოყაზე ვაკოცე და ვუთხარი:

— აბა, გოგოებო, უკვე დროა.

გოგოები შესასვლელამდე მივაცილე, სადაც ნაცრისფერხალათიანი, სანდომიანი სახის შუახნის კონტროლიორი ძია იდგა, მან რიგრიგობით ყველა აბონემენტს მოახია მეოთხე კუპონი და გოგონები ვესტიბიულში შეუშვა. შემდეგ მე გამომიშვირა ხელი. ელოდა, რომ აბონემენტს მივაწვდიდი. მე თავი ჩავღუნე და გვერდზე მივდექი. ალბომი კი ისევ გულზე მქონდა მიხუტებული. კონტროლიორმა ამხედ-დამხედა, მაგრამ არაფერი მითხრა. ბავშვები კანტიკუნტად მოდიოდნენ. მალე მესამე ზარი გაისმა. ძია სკამზე ჩამოჯდა. მე მეორე მხარეს ვიდექი, ზურგით კარების ჩარჩოზე მიყრდნობილი და იატაკს დავჩერებოდი. რამდენიმე ხნის შემდეგ შემომესმა კონტროლიორის ხმა:

— გოგონა, თუ თეატრში სპექტაკლზე არ უნდა შესულიყავი, რატომ მოხვედი?

ერთხანს ვდუმდი, შემდეგ კი გადავწყვიტე ყველაფერი მეამბნა. თუმცა მრცხვენოდა უცხო ადამიანისა, მაგრამ რა უნდა მექნა? თავჩაღუნული ვუყვებოდი ჩემს ამბავს. თხრობა რომ დავამთავრე, თვალებში შევხედე, თანაგრძნობით მიცქეროდა.

— ჰოოო!—გაგრძელებულად წარმოთქვა მან, წელში გაიმართა, ხელები მუხლებზე დაიწყო და კარგახანს ასე გაუნძრევლად იჯდა. ჩემთვისაც აღარაფერი უთქვამს.

პირველი მოქმედება დამთავრდა.

ბავშვები ჟრიამულით გამოეფინენ. მეც ვიდექი და მათკენ ვიხედებოდი. ვხედავ: თინიკო, ნელი და მაია ჩემკენ მორბიან. მომცვივდნენ, რაღაცას მეუბნებოდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ. ვერაფერი გავიგე, რა ხდებოდა, რას მეუბნებოდნენ, უცებ თინიკომ მკლავში ხელი ჩამავლო, ახლა კი მივხვდი, რომ გოგონები დარბაზში მეპატიჟებოდნენ. ინსტინქტურად კონტროლიორის სკამისაკენ მივაბრუნე თავი. სკამი ცარიელი იყო. მიმოვიხედე, ძია არსად ჩანდა. ამ დროს მაიამ მეორე მკლავში ჩამავლო ხელი, ჩემდა უნებურად გადავდგი ჯერ ერთი ნაბიჯი, მერე მეორე, შემდეგ კი მათთან ერთად გავიქეცი დარბაზისაკენ, თან უკან ვიხედებოდი.

შევედით დარბაზში, დაიწყო სპექტაკლი. მე და თინიკო ერთ სკამზე ვისხედით. სული ამიფორიაქდა. არც ყარამანის ოინებზე მეცინებოდა, ვერც ყველას საყვარელი მსახიობის გოგუცა კუპრაშვილის ვახუშტის ცქერა მავიწყებდა მომხდარ ამბავს. სულ იმაზე ვფიქრობდი, გასვლის დროს კონტროლიორი რას მეტყვის ან რას იფიქრებს-მეთქი.

დამთავრდა სპექტაკლი, ყველანი გასასვლელისაკენ გამოვეშურეთ. იქნებ ვერ შემამჩნიოს, — ვფიქრობდი გულში. კარებს რომ მოვაღწიეთ, თვალებით კონტროლიორს დავუწყე ძებნა, მაგრამ ის არსად ჩანდა. გულზე მომეშვა. გამოვედით გარეთ და გავუდექით გზას შინისაკენ.

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ეს შემთხვევა არ მავიწყდება და სულ ვფიქრობ— ნეტავი სად წავიდა კონტროლიორი, რაღა მაინცდამაინც ანტრაქტის დროს წავიდა? მართალია, ძალით შემიყვანეს გოგონებმა, მაგრამ მაინც არ უნდა გავყოლოდი მათ. აი, ძიას რომ თვითონ მოეცა შესვლის უფლება... მაგრამ ჰქონდა კი უფლება? იქნებ ისიც ჩემსავით ფიქრობდა? თქვენ როგორ გგონიათ, ბავშვებო?

ნორა ტატიაშვილი

აისი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 9

## თვალისჩინივით გაუფრთხილდით

ძვირფასო რედაქციავ! სურვილი გამიჩნდა მეგობრებზე მოგითხროთ, იმაზე, თუ რა აზრისა ვარ მეგობრობაზე საერთოდ. მე ბევრი ამხანაგი მყავს. მათ შორის ზოგიერთი ასაკით ჩემზე უფროსია. მეგობარი კი მხოლოდ ოთხი მყავს. მათთან, რა თქმა უნდა, უფრო გულახდილი ვარ, ვიდრე ამხანაგებთან. ჩვენს კლასში 28 ბავშვია, შეუძლებელია ყველასთან იმეგობრო. მაგრამ მეგობარი აუცილებლად უნდა გყავდეს. მე მწყინს, როცა ვხედავ, რომ ზოგიერთები მეგობრებს მხოლოდ ჩაცმა-დახურვის ან მშობლების მდგომარეობის მიხედვით ირჩევენ; ისიც, რომ უფროსები ხშირად ეჭვით უყურებენ ხოლმე გოგონასა და ვაჟის მეგობრობას, არ სჯერათ მათი. მეგობრობა ძალზე წმინდა და სათუთი გრძნობაა, მას თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება, უმეგობრო კაცი კი ალბათ ყველაზე საცოდავი კაცია ამ ქვეყნად.

**მანანა მოძმანაშვილი,**
მცხეთა, გალავნის საშუალო
სკოლა, VI კლასი.

## ყველაფერში ვიყოთ ჩაოლეებთ

პატარაა ჩვენი სოფელი, შესაბამისად პატარაა ჩვენი სკოლა და ჩემი კლასიც. პიონერულ რაზმში სულ თოთხმეტნი ვართ, მაგრამ ეს სულაც არ გვიშლის ხელს სასარგებლო საქმეების კეთებაში. წელს ჩვენი რაზმი გამარჯვებული გამოვიდა რაზმეულში და მარჯვენაფლანგელის წოდებაც დაიმსახურა. ძალიან მიხარია, რომ ამხანაგებმა ისევ ამირჩიეს რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მენდობიან, ჩემი იმედი აქვთ. მეც ვცდილობ, გავუმართლო მათ. საერთოდ, ჩვენი რაზმი ძალიან მეგობრული და შეხმატკბილებულია, ყველა კეთილსინდისიერად ეკიდება პიონერულ დავალებას.

ჩვენმა რაზმმა ჯართიც სხვებზე მეტი შეაგროვა და მაკულატურაც, ასკილიც ყველაზე მეტი ჩვენ ჩავაბარეთ და თუთის ფოთოლიც. არც მომავალში ვაპირებთ პირველობის დათმობას. ვეცდებით მისაბაძნი ვიყოთ დანარჩენებისათვის.

**ია აფთარაშვილი,**
გურჯაანი, კოლაგის რვაწლიანი
სკოლა, VI კლასი.

## ჩვენი შემოქმედება

### სექტემბერო, გამარჯობა!

**სიხარულის ფერი ადევს**
**დღეს ჩვენს სოფლებს და**
**ქალაქებს,**
**რეკავს ზარი, ზანზალაკი**
**სკოლის, ცოდნის კარებს აღებს!**

**ამ ბედნიერ, ნათელ დილას**
**მღელვარებით ტოკავს გული,**
**წინ მიგვიძღვის „დედაენა“,**
**იის შუქით ანთებული!**

**იცინიან ყვავილები,**
**ჩახჩახა მზე ცაზე მღერის,**
**ცოდნის დღეა, ზეიმია! —**
**შემობრძანდა სექტემბერი!**

**სწავლითა და სიყოჩაღით**
**გავამართლოთ ქვეყნის ნდობა!**
**მშვიდობის მზე დაგვნათოდეს,**
**სექტემბერო, გამარჯობა!**

**ირინე სოფრომაძე,**
თერჯოლა, რუფოთის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

## პიონერი გავხდი

დიდი ხანია ვოცნებობდი, როდის გავხდებოდი პიონერი. და აი, დამიდგა ეს ნანატრი დღე. მე და ჩემი თანატოლები პიონერთა რიგებში მიგვიღეს. განა როდისმე დამავიწყდება ის წუთები, როცა მეათეკლასელებმა ყელზე წითელი ყელსახვევები გაგვიკეთეს? უსაზღვრო იყო ჩვენი სიხარული. ჩემს სიხარულს კიდევ ისიც დაემატა, რომ მეგობრებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს და რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. ამ დღის აღსანიშნავად დავწერე ლექსი „პიონერი გავხდი“.

პიონერი გავხდი,
ეს რას ნიშნავს, ვიცი,
მე სამშობლოს ერთგულების
მიმიცია ფიცი.

პიონერი გავხდი,
ეს რას ნიშნავს, ვიცი,
მე პარტიის ერთგულების
მიმიცია ფიცი.

**ია სილაგავა,**
გეგეჭკორი, ლეცავეს საშუალო
სკოლა, IV კლასი.




**ნანა ლაბაძე, 14 წლის. აბაშა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვილჰელმ
ჰაუფი

მხატვარი
თ. ფხიკიძე

# ზღაპარი ალმანახი

ერთ მშვენიერ შორეულ სამეფოში, რომლის მარადმწვანე ბაღებში, როგორც თქმულება გვეუბნება, მზე არასოდეს ჩადის, თურმე დასაბამიდან მეფობდა დედოფალი ფანტაზია. იგი საუკუნეების მანძილზე უშურველად აფრქვევდა მადლს, ავლენდა სრულქმნილ სათნოებას და ყველგან სამართლიან სიყვარულს იმსახურებდა. დედოფლის გული მეტად დიდი იყო საიმისოდ, რომ მხოლოდ თავისი ქვეყნისთვის მოეფინა მოწყალება და, მეფური სიდიადით აღჭურვილი მარადიულ სიყმაწვილესა და მშვენიერებაში, ხშირად ეშვებოდა მიწაზე, რადგან მის ყურთასმენას მისწვდენოდა იქ მცხოვრებ ადამიანთა უხალისო და ჯაფით აღსავსე სვებედის ამბავი. მათი სევდის გასაქარვებლად და შრომის გასახალისებლად დედამიწის ველ-მინდვრებზე დააბიჯებდა იგი და ადამიანებს ყველაზე უფრო მშვენიერ ძღვენს სთავაზობდა თავისი სამეფოდან.

თავისზე არანაკლებ სალუქ შვილებსაც ხშირად აგზავნიდა დედოფალი ადამიანთათვის ბედნიერების მისატანად. ერთხელ დედამ შენიშნა, თუ რაოდენ დანაღვლიანებული დაბრუნდა დედამიწიდან მისი უფროსი ქალიშვილი — ზღაპარი, იგი ნამტირალევი ჩანდა.

— რა დაგემართა, ზღაპარო ჩემო?— ჰკითხა დედოფალმა, — მოგზაურობისას ისე დაღლილხარ და დაქანცულხარ, რომ არც კი გინდა დედას გაანდო შენი წუხილი?

— ეჰ; დედაჩემო, ეს რომ მარტო ჩემი სატკივარი იყოს, ასე როდი ვინაღვლებდი, მაგრამ იგი ამავე დროს შენიცაა.

— გამიზიარე, შვილო ჩემო, შენი სატკივარი, თორემ მწუხარება ლოდივითაა, მძიმედ აწვება გულზე ადამიანს. გაზიარებული ჭირი კი სანახევრო ჭირია.

— რაკი ასე გსურს, მაშ ყური მიგდე: შენ კარგად იცი, თუ რა ხალისით ვჯდებოდი ხოლმე ღარიბ-ღატაკთა ქოხების წინ, რათა სამუშაოს შემდეგ საუბრით გამერთო ისინი. თვითონაც მეგობრულად მიწვდიდნენ ხელს სალმის ნიშნად, როგორც კი გამოვჩნდებოდი და კმაყოფილი ღიმილით მაცილებდნენ განშორებისას; ახლა კი...

— იქნებ გეჩვენება, ჩემო კარგო, — უთხრა დედოფალმა და შვილს ცრემლიან ლოყაზე მიეფერა.

— მერწმუნე, არ მეჩვენება, დედა. — მიუგო ზღაპარმა. — მათ აღარ ვუყვარვარ, სადაც მივალ, ყველგან ცივი მზერით მხვდებიან; აღარსად უხარიათ ჩემი ხილვა. ბავშვებიც კი, რომლებსაც ადრე ასე ვუყვარდი, დამცინიან და ნაადრევად დაბრძენებულებივით ზურგს მაქცევენ.

— შენ როგორ ფიქრობ, ზღაპარო, ადამიანები ასე რატომ შეიცვალნენ?

— რა და, ადამიანებს ჭკვიანი დარაჯები დაუყენებიათ. ისინი ყველაფერს უთვალთვალებენ, რაც კი შენი საუფლოდან მოდის, დედოფალო ფანტაზიავ! და თუ ვინმე თავზეხელაღებული გაბედავს და ჩვენკენ გამოიხედავს, ისეთ წივილ-კივილს ასტეხენ, რომ ვაი მას — ან მოკლავენ, ანდა ისე გააშავებენ იმათ თვალში, ვისაც მათი სიტყვისა სჯერა, რომ მცირედი სიყვარულისა თუ ნდობის იმედსაც აღარ უტოვებენ. ეჰ, ჩემს ძმებს, სიზმრებს, რა ენაღვლებათ, ლაღად და მსუბუქად დაქრიან დედამიწაზე, სულაც არ აღარდებთ იმ ჭკვიან კაცთა იქ ყოფნა. ეწვევიან მთვლემარე ადამიანს და ქსოვენ და ხატავენ მისი გულისა თუ თვალის საამებელს!

— შენი ძმები, ჩემო კარგო, მსუბუქნი არიან და შენ არა გაქვს მიზეზი, მათ შენატროდე. იმ მესაზღვრე დარაჯებს კი მე კარგად ვიცნობ; ადამიანებს ისინი არცთუ ისე უსამართლოდ დაუყენებიათ; ერთი თავქარიანი არსება დადიოდა და თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ჩემი სამეფოდან იყო...

— მერე, მაგაზე მე, შენს ქალიშვილს, რატომ უნდა მაგებინონ პასუხი? — თქვა ზღაპარმა, — რომ იცოდე, როგორ მომექცნენ; ერთი კუდიანი დედაბერი მომიგზავნეს, მემუქრებოდნენ, აღარ შემოგიშვებთო.

— ეგ როგორ? ჩემს ქალიშვილს აღარ შეუშვებენ?! — შესძახა დედოფალმა და რისხვისაგან ლოყები აუელვარდა. — მე უკვე ვხვდები, საიდანაც მოდის ეს ამბავი, ბოროტმა ნათლიდედამ მოგვცხო ჩირქი.

— მოდამ? შეუძლებელია, — შესძახა ზღაპარმა, — ის ხომ ყოველთვის მეგობრულად გვექცეოდა?!

— ო! კარგად ვიცნობ მაგ ორპირს, — უპასუხა დედოფალმა,—მაგრამ მის ჯიბრზე კიდევ ერთხელ სცადე, შვილო, სიკეთის მქმნელი არ უნდა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩერდეს.

— თავლაფდასხმული რომ გამომისტუმრონ, ანდა კუთხეში მიმაგდონ ჩემი ნახვის არმოსურნე ადამიანებმა?!

— მოდისაგან გასულელებული მოზრდილები თუ ნაკლებ გაფასებენ, პატარებს მიმართე; ისინი ხომ ჩემი სიყვარულები არიან, სწორედ მათ ვუგზავნი საამურ სურათებს და სიზმრებს, შენი ძმების მქოლხებით; მე თვითონაც ხშირად ვწვევქივარ, გულში ჩამიკრავს, დამიკოცნია და მათთან ერთად მითამაშია. ისინი უკვე კარგად მიცნობენ, თუმცა ჩემი სახელი არ იციან. ხშირად შემინიშნავს, როგორ ულიმიან ღამით ჩემს ვარსკვლავებს, დილაობით კი ჩემი, ქათქათა ბატკნის მსგავსი ღრუბლების გამოჩენაზე როგორ შემოჰკრავენ ხოლმე ტაშს სიხარულით, როცა იზრდებიან, მაშინაც ვუყვარვარ, ცუგრუმელა გოგონებს ფერადი გვირგვინების დაწვნაში ვშველი; მოუსვენარი ყმაწვილებიც კი მშვიდდებიან, როცა მე, კლდის ქიმზე წამომჯდარი, მათკენ მივაპყრობ მზერას, შორეული ლურჯი მთების ნისლიანი საფარიდან მაღალ კოშკებსა და ბრწყინვალე სასახლეებს ამოვატივტივებ, ხოლო საღამოს, მეწამულ ღრუბლებში მამაც ცხენოსანთა ლაშქარს ან მლოცველთა სასწაულებრივ მსვლელობას დავანახვებ.

— ო, კეთილო ბავშვებო! — აღმოხდა გრძნობამორეულ ზღაპარს.—იყავნ ნება შენი, მათი გულისთვის კიდევ ერთხელ ვცდი ბედს.

— მიდი, შვილო, მათთან, — უთხრა დედოფალმა. — მე ცოტა უფრო ლამაზად ჩაგაცმევ, პატარებს რომ მოეწონო და აღარც დიდებმა გამოგაგდონ; აბა შეხედე, როგორ მოგწონს ალმანახის სამოსი? ეს მინდა ჩაგაცვა.

— ალმანახისა? მეტისმეტია, დედა, ასე კეკლუცად მოკაზმული ხალხს როგორ ვეჩვენო.

მაგრამ დედოფალმა ანიშნა და მსახურებმა ალმანახის მშვენიერი სამოსელი მოართვეს. ზედ ფერადფერადი ლამაზი ფიგურები იყო ამოქარგული.

პირისფარეშებმა გრძელი თმა დაუწნეს მშვენიერ ასულს; ოქროს ქალამნები ბაფთებით შეუკრეს და ალმანახის მშვენიერი ტანსაცმლით შემოსეს.



მორცხვი ზღაპარი ვერც კი ბედავდა, თვალი შეევლო თავისი მორთულობისათვის, დედა კი კმაყოფილებით აკვირდებოდა და გულში იკრავდა შვილს.

— წადი, — უთხრა მან პატარას, — დამილოცნიხარ. თუ აბუჩად აგიგდეს ან დაგცინეს, ჩემთან გამობრუნდი, და იმედი მომავალ თაობაზე დავამყაროთ, ეგებ მათ ბუნების მეტი სიყვარული გამოიჩინონ და კვლავ მოგაპყრონ თვალი.

ასე ბრძანა დედოფალმა ფანტაზიამ და ზღაპარიც მიწაზე დაეშვა. აფორიაქებული უახლოვდებოდა იმ ადგილს, სადაც ჭკვიანი დარაჯები იდგნენ, პატარა თავი დაბლა დაეხარა, მშვენიერი სამოსი ტანზე მჭიდროდ შემოეტმასნა და გაუბედავი ნაბიჯით ჭიშკარს უახლოვდებოდა.

— „შეაჩერეთ!" — დაიძახა ერთმა ჩახრინწული ხმით. — ესეც ახალი ალმანახი!.. გააგდეთ!"

ამის გაგონებაზე ზღაპარი უფრო აკანკალდა; სიბნელიდან ვიღაც კაცები გამოცვივდნენ; ხელში წვეტიანი კალმები ეჭირათ და ზღაპრის წინაალმდეგ მოემარჯვებინათ. ერთერთი პირდაპირ მისკენ წამოვიდა და ტლანქი ხელით ნიკაპში ატაკა კალმის წვერი. „თავი ასწიეთ, ქალბატონო ალმანახო, თვალებში შემოგხედოთ კაცმა, მართლა ნამდვილი ხართ, თუ არა!" — შეუყვირა მან.

სახეშეფაკლულმა ზღაპარმა თავი ასწია და უძირო თვალები შეანათა.

— ზღაპარი! — წამოიძახეს დარაჯებმა და დამცინავად ახარხარდნენ.

— რაო, ზღაპარო, ეს რა განგიზრახავს? ამ კოსტიუმით რატომ წამობრძანებულხარ?

— ეს დედამ ჩამაცვა, — მიუგო აწურულმა ზღაპარმა.

— მაშ ასეა საქმე? ჩვენი გაცურება უნდოდა? ვერ ეღირსებით! გაგვეცალე და თვალით აღარ დაგვენახო! — ერთხმად შეჰყვირეს დარაჯებმა და ბასრი კალმები აღმართეს.

— მე მხოლოდ ბავშვებთან მინდოდა მისვლა. ნუთუ ამის ნება[illegible] არ დამრთავთ? — სთხოვა ზღაპარმა.

— ისედაც ბევრი გვყავს შენისთანა,

ჩვენს ბავშვებს სისულელეებით რომ კვებავენ! — იყვირა დარაჯთაგან ერთ-ერთმა.

— მოდი, ვნახოთ ამჯერად, რა შეუძლია, — თქვა მეორემ.

ზღაპარმა ხელი აღმართა და საჩვენებელი თითით ჰაერში რაღაც ნიშნები შემოხაზა. და ერთმანეთის მიყოლებით გამოჩნდნენ ფერადი გამოსახულებები: ქარავნები, დარახტული ტაიჭები, ბედაურებზე ამხედრებული რაინდები, კარვები უდაბნოს ქვიშაში; თოლიები და გემები მღელვარე ზღვებზე; გარინდული ტყეები თუ ხალხმრავალი ქუჩები და მოედნები; მებრძოლები თუ მშვიდობიანი მომთაბარეები. ყველაფერმა ამან ცოცხალ სურათებად, ფერად წყებად გაირბინა.

ზღაპარი გულმოდგინედ აღმოაცენებდა სურათს სურათზე, და ისე გაერთო, რომ ვერც კი შენიშნა, ჭიშკრის დარაჯებს როგორ თანდათანობით მოერიათ რული. ის იყო ახალი გამოსახულება უნდა ეჩვენებინა, რომ მასთან ერთი თავაზიანი კაცი მივიდა და ხელი ჩასჭიდა. შემდეგ მძინარეებზე მიუთითა და უთხრა:— აბა შეხედე, კეთილო ზღაპარო, ამათთვის შენი ფერადი ამბები ხომ არაფერია! სწრაფად შედი ჭიშკარში, ვერც კი მიხვდებიან, თუ აქა ხარ, ასე რომ, შეგიძლია შეუმჩნევლად და უდარდელად დაადგე გზას. შვილებთან მინდა მიგიყვანო; ჩემს სახლში ერთ მყუდრო ადგილს მოგიჩენ, სადაც შეგეძლება დასახლდე და მშვიდად იცხოვრო; ჩემი გოგო-ბიჭები კი თავიანთი ტოლ-ამხანაგებით მოვლენ შენთან და მოგისმენენ. გინდა?

— ო, სიხარულით წამოგყვები შენს ცუგრუმელებთან; როგორ მინდა, გავახალისო მათი სიცოცხლე და ამით მეც გავიხარო!

კეთილმა კაცმა მეგობრულად დაუკრა თავი ზღაპარს და მიეხმარა, მძინარე დარაჯებს გაპარვოდა. როგორც კი თავი სამშვიდობოს იგრძნო, ზღაპარმა ღიმილით მიმოიხედა და ჭიშკარში შესრიალდა.

გერმანულიდან თარგმნა
რუსუდან ბეჟუაშვილმა



იცით თუ არა, რომ ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე ობობას ქსელივითაა მოდებული ტელეფონის წყალქვეშა კაბელები?

პირველად მსოფლიოში ტელეფონის წყალქვეშა კაბელები XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. 1955 წ. კი ინჟინრები შეუდგნენ ევროპასა და ამერიკას შორის ტრანსატლანტიკური კაბელის ჩადებას. 1956 წლის 25 სექტემბერს ამ კაბელში პირველი „ალო“ გაისმა.

დიდი ხანი არ არის, რაც ევროპისა და ამერიკის კონტინენტებს შორის ჩაიდო ახალი, 600 კილომეტრის სიგრძის ტრანსატლანტიკური მაგისტრალი—ნიუ-იორკი—კადისი (ესპანეთი). მასში ერთდროულად 720 სატელეფონო ლაპარაკი გადაიცემა. ხოლო ესპანეთსა და ინგლისს შორის ახლახან გაყვანილ წყალქვეშა კაბელში ერთდროულად 640 სატელეფონო საუბარი წარმოებს. ამ მაგისტრალის სიგრძე 815 კილომეტრია და მას 51 შუალედური გამაძლიერებელი ემსახურება. საინტერესოა, რომ კაბელის გამოყენებით ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა ავტომატური საერთაშორისო სატელეფონო კავშირი.

ძალზე საინტერესოა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის ჩადებული წყალქვეშა კაბელი. შეთანხმებას იაპონიასა და ევროპის ქვეყნებს შორის (საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გავლით) სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირის დამყარების შესახებ ხელი მოაწერეს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ და დანიის ფირმა „ბატომ“. შეთანხმების თანახმად, ხაზი იაპონიიდან მიაღწევდა მოსკოვს, ხოლო აქედან კაბელის ერთი განშტოება „გზას გააგრძელებდა“ სკანდინავიაზე და უფრო შორსაც — კავშირის დასამყარებლად ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკასთან. კაბელის მეორე განშტოება გადაკვეთდა პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიას და კოპენჰაგენს მიაღწევდა.

მუშაობა შეთანხმების დადებისთანავე დაიწყო. მთავარი ყურადღება, რასაკვირველია, იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის წყალქვეშა კაბელის ჩადებას მიექცა. და აი, 800 კილომეტრის მანძილზე ზღვის ფსკერზე უკვე მოქმედებს წყალქვეშა კაბელი (საბჭოთა ნავსადგურ ნახოდკასა და იაპონიის ნავსადგურ ნარცუს შორის).

ამჟამად მუშაობს 13 ათასი კილომეტრი სიგრძის კავშირგაბმულობის ხაზი და იაპონიას სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირი აქვს დამყარებული არა მარტო საბჭოთა კავშირთან, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან და სამხრეთ ამერიკასთან.

დიდი ხანი არ არის, რაც ატლანტის ოკეანეში ახალი სატელეფონო კაბელი „დაბინავდა“. კაბელმა, რომლის სიგრძეა 4760 კილომეტრი, ერთმანეთთან დააკავშირა კანადა და ინგლისი. ამ კაბელში ერთდროულად 1840 სატელეფონო ლაპარაკი „მოგზაურობს“. კაბელის დასამზადებლად და ოკეანეში ჩასადებად დაიხარჯა 6000 ტონა პოლიეთილენი, 1500 ტონა სპილენძი და ალუმინი, 700 ტონა ფოლადი.

კანადის მხრიდან კაბელის ჩადება დაიწყო ყინულმჭრელის ტიპის კაბელისჩამდებმა გემმა, რომელსაც სპეციალური 16-ტონიანი გუთანი ჰქონდა გამობმული. ამ გუთნის დახმარებით იჭრებოდა ფსკერზე მიწა, შემდეგ თხრილში კაბელი იდებოდა და ზემოდან ისევ მიწა ეყრებოდა. ასე ჩაიდო კაბელი 250 კილომეტრზე.

ინგლისიდან კაბელის ჩასადებად ოკეანეში გავიდა მეორე კაბელის ჩამდები გემი, სწორედ მასზე იყო კაბელის უმეტესი ნაწილი. გემი ზუსტად იცავდა წინასწარ გათვალისწინებულ კურსს, რათა შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში კაბელი ადვილად მოიძებნოს და გარემონტდეს. გემი გეზს იკვლევდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ნავიგაციური სიგნალებით. ოკეანის ფსკერზე კაბელი საათში დაახლოებით 4 კილომეტრზე იდებოდა. გუთანზე დადგმული იყო სატელევიზიო კამერა და გემზე თვალყურს ადევნებდნენ, როგორ ხდებოდა გუთნის დახმარებით ფსკერზე კაბელის გაყვანა. მართლაც საინტერესოა, არა? ახალი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონო სისტემის ასობით გაძლიერებელი ესტაფეტით აძლიერებს სატელეფონო ლაპარაკს, რათა მოსაუბრეებს ჩვეულებრივ ესმოდეთ ერთმანეთისა. რასაკვირველია, ეს გამაძლიერებლები დიდი საიმედოობით მუშაობს. ენერგიას გამაძლიერებლები სანაპირო სადგურებიდან, იმავე კაბელით ღებულობენ. ამრიგად, ატლანტის ოკეანის ფსკერზე ჩადებული ტელეფონის კაბელით არა მარტო სატელეფონო ლაპარაკები გადაიცემა, არამედ გამაძლიერებლებიც იკვებება.

მაგრამ ყოველივე ეს, ასე ვთქვათ,




განვლილი ეტაპია. დღეს მეცნიერები და ინჟინრები ზღვებსა და ოკეანეებში ოპტიკური წყალქვეშა კაბელების გაყვანის პროექტებზე მუშაობენ.

ოპტიკური კაბელები? — გაიკვირვებთ თქვენ.

ცნობილია, რომ ტელეფონის კაბელი შეიცავს სპილენძის სადენებს, ამ სადენებში გადის ელექტროდენი, რომლის დახმარებითაც გადაიცემა სატელეფონო საუბარი. სპილენძის ორი სადენია იმ კაბელშიც, თქვენს სახლში რომ შემოდის და ტელეფონის აპარატთან არის შეერთებული.

ოპტიკური კაბელი კი სხვაგვარად არის დამზადებული. მასში სპილენძის სადენების ნაცვლად მინის უწვრილესი, მოქნილი სინათლის გამტარებია. დიახ, ასეთ გამტარში ელექტროდენი კი არ გადის, არამედ ლაზერის სხივი გადაეცემა.

უცნაური თვისება აქვს სინათლის გამტარს და მასში გამავალ ლაზერის სხივს. მათი გამოყენებით თურმე ერთი ქალაქიდან მეორეში 100 ათასზე მეტი სატელეფონო ლაპარაკი შეიძლება გადაიცეს ერთდროულად.

სწორედ ასეთი ოპტიკური წყალქვეშა კაბელები ჩაიდება წყნარ ოკეანეში იაპონიასა და ჰავაის კუნძულებს შორის 7200 კილომეტრზე, და ეს კაბელი გაგრძელდება ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპირომდე. როგორც ფიქრობენ, ამ კაბელით განხორციელდება 4000 ერთდროული სატელეფონო ლაპარაკი. საინტერესოა, რომ ზოგიერთ ადგილას კაბელი 5700 მეტრის სიღრმეზე „ჩაყვინთავს“.

ოპტიკური კაბელები ახლახან გამოიყენეს მოსკოვის, ლენინგრადისა და გორკის სატელეფონო ქსელებში. შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენს რესპუბლიკაშიც გამოჩნდება ასეთი შესანიშნავი კაბელები.

თუმცა, დავუბრუნდეთ წყალქვეშა კაბელს.

დღეს წყალქვეშა კაბელები საშუალებას იძლევა სულ უფრო ფართოდ დაინერგოს ჩვენს პლანეტაზე ავტომატური საერთაშორისო სატელეფონო კავშირი.

სწორედ წყალქვეშა მაგისტრალების გამოყენებით აქვს დამყარებული ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვს საერთაშორისო სატელეფონო კავშირი მსოფლიოს 130-ზე მეტ ქვეყანასთან.

მაგრამ წყალქვეშა კაბელების გამოყენებით დამყარებულ საერთაშორისო სატელეფონო კავშირს სერიოზული „კონკურენტი“ გამოუჩნდა — კავშირგაბმულობის თანამგზავრები.

როგორც ცნობილია, დღეს კოსმოსზე გავლით დამყარებულია შორეული რადიოსატელეფონო კავშირი, წარმოებს ცენტრალური ტელევიზიის პროგრამების გადაცემა ჩვენი ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე.

ყოველივე ეს შესაძლებელი გახდა საბჭოთა რაკეტმშენებლობისა და რადიოელექტრონიკის მიღწევების შედეგად.

პირველი საბჭოთა კავშირგაბმულობის თანამგზავრი ორბიტაზე გავიდა 1965 წლის 23 აპრილს. ეს იყო აქტიური რეტრანსლატორი „მოლნია-1“, რომელმაც უზრუნველყო სატელეფონო კავშირი მოსკოვსა და ვლადივოსტოკს, მოსკოვსა და პარიზს შორის.

კოსმოსზე გავლით დამყარდა რადიოსატელეფონო კავშირი ვლადივოსტოკი-მოსკოვი-სოფია-ვარშავა-პრაღა. საინტერესოა, რომ კოსმოსური კავშირის დროს მოსკოველი ტელეფონისტი პირდაპირ კრეფს ვლადივოსტოკის აბონენტის ნომერს, და პირიქით. საბჭოთა კავშირგაბმულობის თანამგზავრის საშუალებით შესაძლებელი გახდა პარიზიდან მოსკოვში ფერადი ტელევიზიის გადაცემათა მიღება.

შემდგომში მოსკოვიდან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ტელეგადაცემების მისაღებად დამუშავდა სადგური „ორბიტა“. სწორედ ის ახორციელებს თანამგზავრ „მოლნია-1“-დან სიგნალების მიღებას და ადგილობრივ სატელევიზიო სადგურებზე გადაცემას.

კავშირგაბმულობის თანამგზავრების გამოყენებით მკვეთრად გაუმჯობესდა ინფორმაციისა და სატელევიზიო პროგრამების გაცვლა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას შორის.

გლობალური კავშირგაბმულობის სისტემის შექმნისათვის ამოქმედდა ოთხი სტაციონარული თანამგზავრი რამდენიმე ათასი სატელეფონო არხით — კავშირგაბმულობის ორი თანამგზავრი ატლანტის ოკეანის, ერთი — წყნარი ოკეანისა და ერთიც — ინდოეთის ოკეანის თავზე.

როგორია კავშირგაბმულობის თანამგზავრების „შრომისუნარიანობა?“ ზოგი თანამგზავრი ერთდროულად 480 სატელეფონო ლაპარაკის რეტრანსლაციას ახერხებს, ზოგი—1200-ისა, მაგრამ ესეც არ არის საკმარისი, უახლოეს დროში საჭირო გახდება კავშირგაბმულობის ისეთი თანამგზავრების გამოყენება, რომელთაც შეეძლებათ 5000-დან 6000-მდე სატელეფონო ლაპარაკის, ანდა რამდენიმე სატელევიზიო პროგრამის რეტრანსლაცია.

ვინმემ შეიძლება იფიქროს, რომ კავშირგაბმულობის თანამგზავრების გამოყენება შეანელებს წყალქვეშა კაბელების ჩადების ტემპს. ეს ასე არ არის. მრავალ ქვეყანაში კვლავ განაგრძობენ წყალქვეშა სატელეფონო და სატელეგრაფო კაბელების გაყვანას.

საინტერესოა, რომ, სპეციალისტების გაანგარიშებით, უახლოესი 4-5 წლის განმავლობაში საერთაშორისო სატელეფონო ლაპარაკის ღირებულება თანამედროვე წყალქვეშა საკაბელო სისტემებით უფრო იაფი იქნება, ვიდრე თანამგზავრების სატელეფონო არხებით.

ყოველ შემთხვევაში, სავსებით ცხადია, რომ კავშირგაბმულობის თანამგზავრებიც და წყალქვეშა კაბელებიც სულ უფრო და უფრო გააადვილებენ და გააფართოებენ საერთაშორისო სატელეფონო კავშირს და შექმნიან ყველა პირობას, რომ შეიქმნას ერთიანი მსოფლიო ავტომატური სატელეფონო ქსელი. მაშინ ყოველ აბონენტს, დედამიწის რომელ ნაწილშიც უნდა იყოს ის, შეეძლება საკუთარ ტელეფონზე პირდაპირი ნომრის აკრეფით დაურეკოს ათასობით კილომეტრით დაცილებულ მეორე აბონენტს.

მსოფლიოს ავტომატური სატელეფონო ქსელის შესაქმნელად აშენდება მსოფლიო საკონტინენტთაშორისო საკომუტატორო ცენტრები. ამერიკის ზონაში იგი მოეწყობა ნიუ-ორკში, აზიის ზონაში — ტოკიოსა და სინგაპურში, აგრეთვე ინდოეთის ნახევარკუნძულზე (ქალაქი ჯერ განსაზღვრული არ არის), ევროპის ზონაში — მოსკოვსა და ლონდონში. ყველა საკომუტატორო ცენტრი ერთმანეთთან დაკავშირებული აღმოჩნდება უამრავი ხაზით, რომელთა დიდი რაოდენობა სწორედ კავშირგაბმულობის თანამგზავრებზე გაივლის.

მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარება ადამიანებს ურთიერთკავშირის დამყარების კიდევ მეტ შესაძლებლობებს მისცემს.

ა. კარბელაშვილი

# თქვენც, ნიჭიერო ოსტატებო!



ბავშვთა სურათების გალერეის ერთ-ერთ დარბაზში გამოფენილია ნაირფეროვანი ნამუშევრები — ნაქსოვები, თიხის ჭურჭელი, ჭედურობა, წნული ჭურჭელი, პატარა ნოხები, ფარდაგები, ხურჯინები, თექა, ჩითები, პაჭიჭები, ეროვნული ტანსაცმლის მინიატურული ასლები, ყოფითი საგნები, თოჯინები... ეს ყველაფერი გაკეთებულია სკოლაში ან პიონერთა სახლების წრეებში, რაც ენთუზიასტ მასწავლებელთა მონდომებისა და უანგარო გარჯის შედეგია.

ვინ მოთვლის, რა არ კეთდებოდა ძველად საქართველოს მაღალმთიან რაიონებსა და ბარის სოფლებში! ყველა კუთხეში იყვნენ ხალხური ოსტატები. მართალია, მათმა რიცხვმა საგრძნობლად იკლო, მაგრამ ჯერ კიდევ მოიძებნებიან ჩვენი წინაპრების,

## იცი თუ არა, რომ...

● მშვიდ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის ორგანიზმი წუთში დაახლოებით 300 სმ$^3$ ჟანგბადს ხარჯავს. ტვინი შთანთქავს ამ მოცულობის მეექვსედს, ანუ 50 სმ$^3$, მიუხედავად იმისა, სძინავს თუ ღვიძავს ადამიანს.

● სისხლის სრული წრებრუნვა 20-24 საათს გრძელდება. დიდი ფიზიკური დატვირთვის დროს წრებრუნვის სიჩქარე 4-5-ჯერ იზრდება.

● ადამიანის გულის კუმშვის რაოდენობა სხვადასხვა ასაკში სხვადასხვაგვარია. მოზრდილი ადამიანის გული წუთში საშუალოდ 72-ჯერ იკუმშება, ერთი წლის ბავშვისა — 110-ჯერ, ახალშობილისა — 120-140-ჯერ.

საშუალოდ ადამიანის გული საათში იკუმშება 4200-ჯერ, დღე-ღამეში — 100 800-ჯერ, წელიწადში — 36 მილიონ 792 ათასჯერ.

● ერთი შეკუმშვისას ადამიანის გული 600 მილილიტრ სისხლს გამოსტყორცნის. ეს შეადგენს 420 მილილიტრს წუთში, 25 ლიტრზე მეტს საათში, 600 ლიტრს დღე-ღამეში, 200 ათას ლიტრზე მეტს — წელიწადში...

● ადამიანის გული 500 გრამზე ნაკლებს იწონის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 10 წუთში ასრულებს იმდენ სამუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა





მამა-პაპათა დაწყებული საქმის გამგრძელებლები, რომლებმაც თაობიდან თაობას უნდა გადასცენ ხალხური მარგალიტების საიდუმლოება. ისინი უნდა მოვიწვიოთ სკოლებში საკონსულტაციოდ, წრეების ხელმძღვანელებად. ბევრ ბავშვს, რომ იტყვიან, „ოქროს“ ხელები აქვს. ასეთები უნდა გაერთიანდნენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე წრეებში. შრომის გაკვეთილების წარმატებით გამოყენებაც შეიძლება. ხალხური საუნჯე დღევანდელმა ნორჩმა ხელმარჯვე ოსტატებმა უნდა გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ.

ამჟამად ჩვენი საგამოფენო დარბაზები ნებას გვაძლევენ, სხვა ექსპოზიციებთან ერთად ფართოდ წარმოვადგინოთ საქართველოს ყველა კუთხის ბავშვების ნახელავ-ნამოღვაწარი.

ბავშვებო! თუ მოინდომებთ, ყველანი შეძლებთ, ხატოვნად გვიამბოთ იმ ლამაზი კუთხის შესახებ, სადაც ცხოვრობთ, კახეთია ეს თუ ქართლი, გურია თუ რაჭა-იმერეთი, სამეგრელო თუ მაღალმთიანი სვანეთი. დამთვალიერებლებს, სტუმარს თუ მასპინძელს, ძალიან მოსწონთ თქვენი ნაქსოვები, ნაქეთობანი...

ხალხური შემოქმედების, მდიდარი ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების შესწავლა-შენარჩუნება თქვენი კულტურისა და ერუდიციის ამაღლების ერთ-ერთი პირობაა.

**ელენე გორგაძე,**
ბავშვთა სურათების გალერეის სამხატვრო ხელმძღვანელი.

შაოს, რამდენიც საკმარისი იქნებოდა 65 კგ ტვირთის 10 მეტრის სიმაღლეზე ასაწევად.

● თვალის ბროლი ორგანიზმის ერთადერთი წარმონაქმნია, რომელსაც სისხლძარღვები არ გააჩნია და მხოლოდ თვალის სითხის მეშვეობით იკვებება.

● ადამიანის მთელი საქმიანობის 90% თვალის მონაწილეობით მიმდინარეობს. თვალი დღე-ღამეში 15-18 საათს მუშაობს. ყველა იმ შთაბეჭდილების 87%, რომელსაც ადამიანი გარე სამყაროდან ღებულობს, მხედველობითი შთაბეჭდილებებია.

● ძილის დროს ჩვენი ფილტვები წუთში დაახლოებით 5 ლ ჰაერს ისუნთქავენ, როცა ვზივართ — 6 ლიტრს, ხოლო თხილამურებით სრიალისას — 20-25 ლიტრს.

● ადამიანის ორგანიზმში სისხლის მოძრაობის სიჩქარე 0,5 მმ/სეკ-ია კაპილარებში და 15-20 სმ/სეკ — აორტაში.

● 500 გრამი ნახშირწყლებიდან, რომლებსაც ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში მოიხმარს, დაახლოებით 90 გრამს ტვინი „ისაკუთრებს.“

● არსებობს ოთხი სახის უჯრედები, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი შეიგრძნობს ოთხ უმთავრეს გემოს — მწარეს, ტკბილს, მჟავესა და მლაშეს.

ენის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა გემოს სხვადასხვანაირად აღიქვამს: ენის წვერი უფრო მგრძნობიარეა მლაშესა და ტკბილის მიმართ და რამდენადმე ნაკლებად — მჟავეს მიმართ, ენის კიდეები კარგად შეიგრძნობენ მჟავეს, ხოლო ფუძე — მწარე გემოს.

## ყოველ ერთ წუთში

● ... დედამიწის ატმოსფეროში კოსმოსური სივრციდან შემოიჭრება 6 ათასზე მეტი მეტეორიტი. მათი დიდი ნაწილი იწვის, ზოგი კი ზედაპირამდე აღწევს.

● ... თავის მზისირგვლივ ორბიტაზე ჩვენი პლანეტა გადის 1750 კილომეტრს.

● ... დედამიწის ატმოსფეროში მძვინვარებს 80 ქარიშხალი.

● ... დედამიწის ზედაპირზე მოდის 400 მ³ ნალექი.

● ... ჩვენი პლანეტის მდინარეებს ზღვებსა და ოკეანეებში ჩააქვთ 35000 ტონა მტკნარი წყალი და შლამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## სათავე

განყოფილებას ხელმძღვანელობს
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი ნოდარ შამანაძე

### ჩემი სოფლის დილა

რა მშვენიერი დილაა,
გულს ეფინება ნათელი,
მზის ბადაგს დაუთაფლია
ბაღები ღამენათევი.
მძივების მარგალიტებით
სხივებზე ბრწყინავს მოლია,
გუნებაზე ვარ ისეთზე,
ფრთები მესხმება, მგონია.
სოფელი სიხარულია
და მთელი ქვეყნის ლონეა,
ყველა ვაზი და ყველა ხე
სულ სულში ჩასაკონია.

მთქმელი — ს. ნაგერვაძე,
ჩამწერი — როინ ფარტენაძე,
ხელვაჩაური, აჭარისაღმართის
საშუალო სკოლა, X კლასი.

### საქართველო

გიმღერებ, როგორც დედასა,
შეგამკობ, მოგეფერები,
მინდა ლექსებად დავწერო
ჩემი გონების მტევნები.
ალაპარაკდით, ლოდებო,
თქვენც ამოიდგით ენაო,
აგერ რამდენი ბაღია,
რამდენი ვარდის ფენაო?!
ამღერდი, ჩემო ყვირილავ,
ამოთქვი ლექსი მქუხარე,
მორწყევი ხოდაბუნები
და მამულს გული უხარე.
ვეტერანი ვარ ომისა,
შრომაშიც გული მხნედ არი,
შენ გენაცვალე, მამულო,
შენს ძლიერებას შევხარი.

მთქმელი — გერონტი ბიწაძე (66 წლისა),
ჩამწერი — გურამ ჭარელიძე,
ჭიათურა, ცხრუკვეთის რვაწლიანი
სკოლა, VI კლასი.

### რა კარგია!

რა კარგია კაი კაცი,
საქმე მოსდევს საქებური,
ვერ აშინებს მტრების მტრობა,
მოძმეს ხვდება სავსე გულით.
უჭრიალებს მარნის კარი,
თავის ხელით აგებული,
სოფელი ჰყავს მადლიერი,
მოძმის გული — მოგებული.

მთქმელი — მარუსა პაპალაშვილი,
ჩამწერი — ქეთი ლომაშვილი,
თელავი, რუისპირის საშუალო
სკოლა, X კლასი.

### ლენინს

ბავშვობიდანვე იყავი
მშრომელის ტანჯვის მნახველი,
მის დასახსნელად აღსდექი,
იდიდოს შენი სახელი.
ნათელი აზრით შექმენი
შენსავით მტკიცე პარტია,
შენ რომ მზე ამოაბრწყინე,
დღეს უფრო მძლავრად ანთია.
შენი საქმე და ამაგი
სულ მუდამ გვემახსოვრება,
შენზე ძვირფასი სახელი
ქვეყნად არ გაიგონება.

მთქმელი — თამარ რაზმაძე (82 წლისა),
ჩამწერი — ჟანა ოთინაშვილი.
ცხინვალი, აჩაბეთის საშუალო
სკოლა, IX კლასი.

### მთაზე ავედი

მთაზე ავედი დილითა,
ანკარა წყალი დიოდა,
აყვავებულსა მდელოზე
მარგალიტებად სცვიოდა.
დავლიე მოწყურებულმა
და გამოვცოცხლდი ხელადა,
ტყიდან ნიავმა დამქროლა,
მეჩვენა უკვდავებადა.
მერე ტყის პირიც ვიხილე,
შემკული მოლის მოვითა.
მთაზე როგორც კი ავედი,
გულს სიხარული მოვიდა.

მთქმელი — ხუტა კონაელია (68 წლისა),
ჩამწერი — ლელა კონაელია,
გალი, ოტობაიას საშუალო
სკოლა, VI კლასი.

### ჯარისკაცის წერილი

გალში გაფრინდი, წერილო,
მგზავრი ხარ შორი გზისაო,
ნაწერო ფანქრის წვერითა,
ნათქვამო სალდათისაო.
დიდხანს ნუ დაიგვიანებ,
მთქმელო შენ სიმართლისაო.
გადაიარე გორები,
გაჰყევი დნეპრის პირსაო,
ჩემს რაიონში ჩაფრინდი,
მზე ნახე ოდიშისაო.
დედაჩემს მიესალბუნე,
ვიცი, რომ მდარდობს შვილსაო,
თუმცა რა სადარდელი აქვს,
ცა გვალხენს მშვიდობისაო,
ხიფათი არსით მომელის
დიდი სამშობლოს შვილსაო.
ვიწრთობი, როგორც ფოლადი,
ვდარაჯობ ხალხის ლხინსაო,
ისეთი ძლიერები ვართ,
შიში არა გვაქვს მტრისაო.

მთქმელი — ვარლამ ლემონჯავა
(68 წლისა),
ჩამწერი — მადონა ჭილავა,
გალი, ჭუბურხინჯის 1-ლი
საშუალო სკოლა, VIII კლასი.

### ხიზაბავრელი გლეხი

ერეკლე მეფე სალაშქროდ მიდიოდა. გზაში შეფიქრიანდა: თავდამსხმელს უამრავი ჯარი ჰყავს, ჩემი მცირე რაზმით მასთან რას გავხდები, სჯობია უკან დავბრუნდეო. მართლაც დაბრუნდა. ხიზაბავრაში ერთი გლეხი შეხვდა. მან რომ გაიგო, მეფე მტერთან ბრძოლას თავს ანებებსო, გაიქცა შინ და ერთიმეორეზე უკეთესი ცხრა ვაჟკაცი გამოიყვანა... მერე პატარა კახს თაყვანი სცა და მოახსენა: ოღონდ მტარვალს შეები და მისი ჯავრი ამოგვყარე, აგერ ცხრა შვილი საომრად მზად მყავს, მეათე მე ვიქნებიო.

ასეთი ხალხის დამარცხება არ იქნებაო, — გაივლო გულში მეფემ და მტერს შეება. ომი ასპინძასთან მოხდა. მეფემ გაიმარჯვა.

მთქმელი — ბაგრატ დევნოსაძე,
ჩამწერი — ლელა გახოკიძე,
ადიგენის საშუალო სკოლა, X კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზარმაცი

წამობიბინებულ მოლზე, ნაკადულის ახლოს ზარმაცი კაცი წამოწოლილიყო. შიმშილით ისე მისავათებულიყო, თვალს ძლივსღა ახელდა. ვნახოთ და გლეხკაცი გამოჩნდა, მხარზე თოხი გაედო, ყანაში სიმინდის გასამარგლავად მიეშურებოდა, თან საგზალი მიჰქონდა ხელკალათით. იგი ზარმაცს მიესალმა.

— გამარჯობა, კაცო, შენი!

— გაგიმარჯოს! — ძლივს ამოიკნავლა მან.

— ცუდი ფერი გადევს, ავად ხომ არა ხარ?

— სამი დღეა, საჭმელზე პირი არ დამიდგამს, ავად ვიქნები, აბა, კარგი მომივა?!

გლეხკაცმა კალათიდან პური ამოიღო და მიაწოდა. ზარმაცმა პურს შეხედა, მერე უკმაყოფილოდ უთხრა:

— ეგ ხმელი პურია და როგორ შევჭამ?

— აგერ წყალი, დაალბე!

— მეტი საქმე არა მაქვს, მაგის გულისთვის ავდგე. მირჩევნია ისევ მშიერი მოვკვდე. წყალთან ვერ მივალ. — მიუგო მან და გადაბრუნდა, გლეხკაცს ზურგი შეაქცია.

მთქმელი — ელენე ავაზაშვილი,
ჩამწერი — ლალი მამულაშვილი,
ყვარელი, მე-2 საშუალო სკოლა,
VII კლასი.

## ომის გახსენება

მტერი რომ შემოგვესია,
ნადავლით განალაღები,
მთებიც ჩაებნენ ბრძოლაში,
ცამდე შეიკრეს თაღები.
სურდათ დაეცვათ სამშობლო,
ლამაზი ვენახ-ბაღები.
კიდეც დაიცვეს... ყორნებსა
დღე გაუთენდათ მწარეო,
არწივთა გუნდი აფრინდა,
ვთვალე და ველარ ვთვალეო,
ყორნებს სამარედ უქციეს
ეს ჩვენი არემარეო.
ჩემო დიადო ქვეყანავ,
გალაღდი, გაიხარეო,
ვარდებად აგიყვავილდეს,
ომში რაც სისხლი ღვარეო.

მთქმელი — ეთერ მუხტაშვილი,
ჩამწერი — ლია გიგაური,
დუშეთი, ჭართლის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

## თქმულება წნორზე

ალაზნის გაღმა ულამაზესი გოგო ცხოვრობდა. რომ შეხედავდი, იფიქრებდი: ნეტავ ასე მაყურებინაო. მას ყველაფერი მიმზიდველი და მშვენიერი ჰქონდა: სახე, თვალები, აღნაგობა. განსაკუთრებით უხდებოდა ხშირი, ხუჭუჭა თმა.

ალაზნის გამოღმა ასევე ტანადი და მომხიბლავი ჭაბუკი ცხოვრობდა. გოგოსა და ჭაბუკს ერთმანეთი უყვარდათ. ალაზანზე ხიდი არ იყო. ჭაბუკი მდინარეს გადასცურავდა ხოლმე და გულისტოლს ხშირად ნახულობდა.

ერთხელ ალაზანი ძალიან ადიდებული იყო. ჭაბუკი მაინც შევიდა შიგ. ერთხანს მარჯვედ მიცურავდა, მაგრამ ზვირთებთან ბრძოლამ მალე დაღალა. თანაც ცივმა წყალმა ძარღვები გაუყინა, ცალი ფეხი გაუჩერა. ვერ იქნა და ნაპირს ველარ მიაღწია, ტალღებში ჩაიძირა.

ეს რომ გოგომ გაიგო, ალაზნის ნაპირს მივიდა, თმები გაიშალა და დაიწყო ტირილი, მოთქმა-გოდება. იგი უცებ ხედ გადაიქცა, მისი თმები კი — ტოტებად. ასე წარმოიშვა წნორის ხე. იმ მიდამოებს კი წნორი ეწოდა.

მთქმელი — თამარ მაზიაშვილი,
ჩამწერი — მაია ნასრაშვილი,
სიღნაღი, წნორის საშუალო
სკოლა, IX კლასი

## მოუხერხებელი ძმები

ძველად ჩვენს სოფელში ორი უგერგილო ძმა ცხოვრობდა. მათ ჰყავდათ ბატონი. ერთხელაც იყო, ბატონმა ძმებს უბრძანა: ქალაქიდან სტუმრებს ველი, საჩქაროდ მოზვერი დაკალით და მწვადები აამიშხინეთო. ძმები დაფაცურდნენ, დანას ძებნა დაუწყეს, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ დანა ვერ იქნა და ვერ ნახეს, ბოლოს ერთ მათგანს გაახსენდა, დანა სახლის ბანზე რომ ჰქონდა შენახული. ადგნენ და მოზვერი ბანზე აიყვანეს დანასთან. იქ დაკლეს და გაატყავეს.

მთქმელი—ვალერი ტაბატაძე (79 წლისა),
ჩამწერი — ქეთევან კვიჟინაძე,
ჭიათურა, ბერეთისის საშუალო
სკოლა, IV კლასი.

## ანდაზები

შრომამ თქვა: ვინც მე გამირბის, ბოროტებას უმეგობრდებაო.

პატარა სიტყვა ლაპარაკში გაიზრდებაო.

ოფოფს თავით იცნობენ, კარგ საქმეს ბოლოთიო.

ძალად გატანებული ძაღლი ცხვარს არ გამოადგებაო.

შრომამ თქვა: ჩემი მეგობრობით მოიგებ, სიზარმაცეს თუ დაუმეგობრდები — წააგებო.

ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა.

ქვეითი ცხენოსანს დასცინოდაო.

ცოდნა კაცს არ ამძიმებს და არც დაეკარგებაო.

შრომამა თქვა: ჩემი მეგობარი დოვლათის მეგობარიც არისო.

გამრჯე კაცისათვის უსაქმურობა დიდი სასჯელიაო.

ხარს აპეური მოუფონეს და ეგონა, უღელი მომეხსნაო.

კატას ხუმრობაში თაგვი გაექცაო.

საქმე არ ჰქონდეს ხუროსა, დაჯდეს და არახუნოსა.

კაცის ცნობა თუ გინდა, ჯერ მისი მეგობრები იკითხეო.

ხოხობი თავს მალავს და კუდს არაო.

კაცი რომ სიტყვის ღეჭვას დაიწყებს, იმისა აღარა დაიჯერება რაო.

მთქმელი — მარიამ მძინარაშვილი
(80 წლისა),
ჩამწერი — გონდო მძინარაშვილი,
კეხიჯვრის საშუალო სკოლა, IX კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პურის ნატეხი



ალექსანდრე იონოვი

მხატვარი თ. ფხიკიძე

მოთხრობა

იმ დღეებში, როცა ყინვა და ქარი განსაკუთრებით მძინვარებს ქალაქის დაცარიელებულ ქუჩებში, სერიოჟა სახლიდან გარეთ არ გადის. საწოლზე მოკალათებული და სქელ ბამბის საბანში გახვეული, დიდხანს ოცნებობს... პირველ ყოვლისა, წარმოიდგენს, რომ ლენინგრადიდან უკვე გარეკეს ფაშისტები. შემდეგ კი ყველაფერი ისე ხდება, როგორც ზღაპარში. რაც მთავარია, ჩნდება ბევრი პური. საფუნთუშეში თაროებზე და ვიტრინებში აწყვია სურნელოვანი, დაბრაწული ახალგამომცხვარი შავი პური...

ოცნებაში სერიოჟას თავი ხაბაზი ჰგონია. პურის ქარხნის გრძელი დარბაზი... ნელა მოძრაობს კონვეიერის ლენტი, რომელზეც ცხელ-ცხელი, მადისაღმძვრელი პურები აწყვია, თეთრ ხალათსა და თეთრსავე ქუდში გამოწყობილი სერიოჟა ყურადღებით ითვლის პურებს, რათა არცერთი ცალი არ დაიკარგოს და ყველას ერგოს. იგი ცხადად გრძნობს ხელისგულზე ხორკლიან, ღუმელის სიმხურვალისაგან დახეთქილ პურის ყუას, ახლა სუნს აღარ იკითხავთ, არომატულ, შეუდარებელ სუნს? სერიოჟას გვერდით დგას ძია ფედია — მეზენიტე. მისი ბატარეა ახლა სკვერშია დაბანაკებული, მოსკოვის სადგურის მახლობლად. თუ ქარბუქი და მკაცრი ყინვები არ არის, სერიოჟა ხშირად დადის მეზენიტეებთან. მის ოცნებებში ძია ფედია პურის ქარხნის დირექტორია და არა ჯარისკაცი. ისინი ერთად ითვლიან პურებს, შემდეგ კი, როცა მთელი ქალაქის სამყოფ პურს გამოაცხობენ, ძია ფედია უბრძანებს სერიოჟას, აკრიფოს პურის ნამცეცები კონვეიერზე, ნაწილის შეჭმის უფლებასაც კი აძლევს. ნამცეცები პურზე უფრო გემრიელია, კბილებში დნება... ამიერიდან სერიოჟა მხოლოდ ნამცეცებს იკმარებს. პური რატომ დახარჯოს? იგი ხომ სხვებს უფრო სჭირდებათ. რამდენი პურია საჭირო, რომ ყველა ადამიანს თითო ცალი მაინც შეხვდეს? ათასობით! არა, პურს იგი ხელს არ ახლებს, დედას წაუღებს როგორც თავის, ისე მის წილს. დაე, დედამ ჭამოს, თვითონ კი ნამცეცებითაც გაიტანს თავს. ნამცეცები შეიძლება მშრალადაც ჭამოს და რძეში ჩალბობილიც. თუმცა რძეც არ არის აუცილებელი. რძე უკეთესია ბავშვებს მისცენ. სერიოჟა კი, რაკი ფურნეში მუშაობს, მაშასადამე, პატარაც არ არის...

სერიოჟა ფიქრებში იძირება და არ ესმის, რომ დედა ეძახის. იგი უკვე მეხუთე დღეა, რაც შინიდან გარეთ არ გასულა. არ ყოფილა არც საფუნთუშეში და არც სამუშაოზე. საფუნთუშეში იმიტომ არ მიდის, რომ პურის ტალონები სადღაც დაკარგა... სამუშაოზე კი იმიტომ არ მიდის, რომ წასვლის ძალა აღარა აქვს. მეხუთე დღეა თვალღია წევს, მაგრამ ვერც ვერავის ხედავენ მისი თვალები, და არც არაფერს გამოხატავენ. ალბათ დედაც რაღაცაზე ფიქრობს. იქნებ სერიოჟასავით ფიქრობს იმ დროზე, როცა ყოველი ადამიანი შეძლებს თავისთვის მთელი პური იყიდოს, ანდა იქნებ არაფერზეც არ ფიქრობს. უბრალოდ, წევს, ყველაფრისაგან გამოთიშული და გულგრილი...

— სერიოჟა... — ჩურჩულებს დედა. ამჯერად შვილს ესმის, ფურნე და მასთან ერთად პური, მისი სითბო და სურნელებაც მაშინვე ქრება. სერიოჟა თბილად ეხვევა საბანში... და დედის მილეულ ხმას უსმენს.

— სერიოჟკა... იქნებ ბატარეაზე გაგევლო, ა?... ჯარისკაცები სუპს გაჭმევდნენ და ცოტათი დანაყრდებოდი...

— შენა, დედა?

— მე აღარ მინდა, შვილო...

დღეს დედა ძალიან ცუდად გამოიყურება... ბოლო დღეებში ცოტას ლაპარაკობს. გიშერივით შავი თვალებით შესცქერის სერიოჟკას და დუმს.

მისი წყენინება არ შეიძლება. ეს კარგად იცის სერიოჟამ და სწრაფად ეთანხმება დედას.

— კარგი, დედი, წავალ... ძია ფედია ორცხობილას შემპირდა... სამ დღეში კი ახალ ტალონებსაც მოგვცემენ...

სერიოჟას უძნელდება ლაპარაკი, მაგრამ დედა ხომ უნდა დაამშვიდოს; ამიტომ წყნარად განაგრძობს:

— ბატარეაზე საიდუმლოდ მითხრეს, თხუთმეტში პურს გვიმატებენო. სამას-სამას გრამს მოგვცემენ თურმე. — მართლა, დედი, მართალს გეუბნები, არ გატყუებ!

—კარგი, შვილო... მჯერა... წადი ძია ფედიასთან, კეთილი კაცია...

სერიოჟა ნელა ჩამოდის საწოლიდან და დიდხანს ფუთნის დედას საბანში. შემდეგ ფეხაკრეფით გადის ოთახიდან და ფრთხილად ეშვება ხარახურითა და თოვლით სავსე კიბეზე.

დიდ ძველ შალში გახვეული სერიოჟა ნელა მიაბიჯებს მოსკოვის სადგურისაკენ, ბატერეისაკენ, სადაც ორცხობილას შეპირდნენ.

ბატარეაზე შეეჩვივნენ სერიოჟას ვიზიტებს, მიწურში შესვლისა და გათბობის ნებასაც კი აძლევენ. ბიჭი აქ ყველა მეზენიტეს იცნობს. იცის, ომამდე ვინ სად და რად მუშაობდა, ჯარისკაცები კეთილები არიან, კარგად ეპყრობიან სერიოჟას. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ფედიას უყვარს და ებრალება სერიოჟა. მას სერიოჟასთვის ყოველთვის მოაქვს ცხელი, სურნელოვანი ზატირუხა. ზატირუხა ჭვავის ფქვილის სუპია. ქვაბიდან დაფნის ფოთლის სუსტი სუნი ამოდის. სერიოჟა ნელ-ნელა, ყლუპყლუპად ხვრეპს ზატირუხას, შემდეგ კი ქვაბს ცხელ წყალს ავლებს... როცა ძია ფედია ზატირუხასთან ერთად პურის ნატეხს ან ორცხობილას აძლევს, სერიოჟა ამ სიმდიდრეს ხელს არ აკარებს, ჩუმად იდებს ჯიბეში და დედასთან მიაქვს. სუპსაც სიამოვნებით წაუღებდა დედას, მაგრამ როგორ წაუღოს ამ სიშორეზე ქვაბით სუპი.

დღეს სერიოჟას სიარული უჭირს. ჩვეულებრივზე მეტი დრო მოანდომა ბატარეაზე მისვლას. ან ქარია გუშინდელზე ძლიერი, ანდა ბოლო დღეებში უფრო დასუსტდა ბიჭი.

...მეზენიტეები სერიოჟას მიწურში ხვდებიან, ბრძოლის შემდეგ ისვენებენ.

— ბიჭო, სად დაიკარგე?!

— ორი დღეა, არ ჩანხარ...

— ოჯახში ყველაფერი რიგზეა? დედა ჯანმრთელადაა? — დააყარეს მისვლისთანავე შეკითხვები.

ბიჭი გახარებული შეჰყურებს მეგობრებს და არეუბნება, რომ თავბრუ ესხმის და სიცივისაგან იყინება. ერთი რომ წაიქცეს, ველარც ადგება ზეზე. იმას კი არ ფარავს, რომ დედა მძიმედ ავადაა და რამდენიმე დღეა ლოგინიდან ვერ დგება.

— ტალონი დაკარგა... უპუროდ კი საშინლად დაუძლურდა. — ამბობს ბიჭი.

მეზენიტეები ხმას არ იღებენ... სერიოჟაც ჩუმდება. ბიჭმა იცის, რომ ჯარისკაცები ვერაფრით დაეხმარებიან, ბლოკადის გამო თვითონაც მცირე ულუფაზე არიან. მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც უთბობს გულს — იქნებ ცოტა ორცხობილა მაინც გამონახონ მისთვის. სერიოჟა მას დედას მიუტანს და ახალი ტალონების მიღებამდე თავს როგორმე გაიტანენ. მანამდე კი სულ რაღაც სამი დღე დარჩა... ალბათ ჯარისკაცებიც ამაზე ფიქრობენ,ვინაიდან ფედია დუბინინის წინადადებას — როგორმე დაეხმარონ ბავშვს, ყველა მხარს უჭერს.

— წავალ, მამასახლისს ვნახავ, — ამბობს ფედია. — შევეცდები ჩემი ხვალინდელი ნორმა პური გამოვართვა.

ერთ-ერთი ამხანაგი ფედიას მხარ-



ეროვნული ბიბლიოთეკა






გნოლი ქათმისნაირთა რიგისა და ხოხბისებრთა ოჯახის მცირერიცხოვანი ფრინველია. მისი რიცხოვნობა თანდათან კლებულობს. საზოგადოდ გავრცელებულია ევროპასა და აზიაში. საქართველოში გვხვდება ჯავახეთში, შირაქში, დავით გარეჯის მონასტრის შემოგარენში, ადიგენის, წალკის, ასპინძის, მარნეულის, ყაზბეგის რაიონებში. ბინადრობს მინდორ-ველად, ყანებსა და სათიბებში, ბუჩქნარიან ზეგნებზე. ბუდეს მიწაზე იკეთებს. აპრილში დებს 12-15 კვერცხს, ინკუბაცია გრძელდება 26 დღე-ღამეს. კრუხობს მარტო დედალი, მამალი შორიახლოსაა და საშიშროების შემთხვევაში მოახლოებულ მტერს გაიტყუებს.

გნოლის რიცხოვნობის შემცირების მთავარი მიზეზებია ბრაკონიერული ნადირობა, ადგილსამყოფელის შემცირება, შხამქიმიკატების გამოყენება. გნოლს, როგორც სანადირო ფრინველს, ვოლიერებში ამრავლებენ. საქართველოში გნოლზე ნადირობა აკრძალულია.

ზე ხელს ურტყამს და ეუბნება:

— ფედია, მიდი, ჩემი წილიც გამოართვი.

— ჩემიც...

— ეგ რა არის! მთელი ბატარეისა გამოართვი! ერთ დღეს როგორმე გავუძლებთ...

დუბინინი მიდის და დიდხანს არ ბრუნდება. ამასობაში რომელიღაც მეზენიტეს ბიჭისათვის ცოტა სუპი მოაქვს. სერიოჟა თბილ ღუმელთან ზის, ცხელ წვენს ხვრეპს და ფედიას ელოდება. ის კი არ ჩანს...

ბატარეის მამასახლისი გამოცდილი ჯარისკაცი მატვეი კრავჩუკი იყო. თავის უბანზე მას იდეალური წესრიგი ჰქონდა, უყვარდა დისციპლინა და სხვისგანაც მოითხოვდა.

— გამიგე, ფიოდორ, არ შემიძლია... უფლება არა მაქვს, ერთი დღით ადრე გავცე პროდუქტი.

— როგორ არ გესმის, ბავშვს დედა უკვდება... თვითონაც სანთელივით დნება...

— სპეციალური ბრძანებაა, ვერ დავარღვევ... ბატარეის უფროსი პროდუქტის საკითხში ძალზე მკაცრია... როგორ წავართვა ჯარისკაცს პურის უკანასკნელი ნატეხი?

— ამხანაგო უფროსო, ბავშვი რომ ნახოთ...

— რად მინდა ნახვა, არ ვიცი თუ რა, — ბრაზობს კრავჩუკი. — დღეს პურს მოგცემთ და ხვალ ქვემეხებთან დგომას ვერ შეძლებთ.

— შევძლებთ... უნდა შევძლოთ, უფროსო... ჩემი წილი მაინც მომეცით. ვერავინ გაიგებს...

ბოლოს, როგორც იქნა, მამასახლისი დათანხმდა. მართალია, მთელი ბატარეის პურის მიცემა ვერ გაბედა, მაგრამ ერთი მთელი პური მაინც მისცა, მაგარი, შავი და ქვასავით მძიმე.

შინ სერიოჟა მარტო არ დაბრუნებულა. მის გვერდით მძიმედ მიაბიჯებდა ძია ფედია, რომელსაც ფარაჯის ქვეშ ძვირფასი ტვირთი ჰქონდა დამალული.

აგერ, ძველებური სახლიც ლიგოვსკოეს ქუჩაზე. სადარბაზოში ისე ბნელა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტან. აი, ახლა აივლიან კიბეს.



აჭმევენ დედას და ისიც ალბათ ღიმილით გადმოხედავს შვილს. ადრე ხომ მუდამ იღიმებოდა.

— ძია ფედია, — ეუბნება სერიოჟა ჯარისკაცს, ვიდრე ოთახში შევლენ, — დედას ცოტა პური მიეცით... ერთბაშად ბევრი არ შეიძლება...

— შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, შვილო, მე ვიცი, როგორ ვაჭამო.

ზამთარში ლენინგრადში ადრე ღამდება. განსაკუთრებით ახლა, როცა ქალაქი ჩაბნელებულია...

ფედია საწოლთან მიდის და საბანს ფრთხილად ეხება.

— გამარჯობა, დიასახლისო! მოულოდნელი სტუმრები გყავს, აი, ცოტა პური მოგიტანეთ...

ძია ფედია ხმადაბლა ლაპარაკობს, მაგრამ ყოველი სიტყვის შემდეგ ხმა სულ უფრო და უფრო უწყდება. ბოლოს იგი ჩუმდება, ყურადღებით აკვირდება ქალს და ნელა იხდის ქუდს. შემდეგ საბანს უსწორებს ქალს. სერიოჟას გულში იკრავს და ეუბნება:

— დავაგვიანეთ, შვილო... მას უკვე აღარ სჭირდება პური... მაგრამ შენ არ იტირო... ვაჟკაცურად იყავი...

— მე არ ვტირი, ძია ფედია... — წყნარად უპასუხა სერიოჟამ.

იგი მართლაც არ ტიროდა.

თარგმნა ნოდარ ბასილაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შაში ინტელექტუალთა თამაში

## ნოტაცია

დამწყებმა მოშაშემ აუცილებლად უნდა შეისწავლოს პარტიისა და სხვადასხვა პოზიციის ჩაწერისათვის არსებული შაშის ნოტაცია.

დაფის ვერტიკალური რიგები აღინიშნება მარცხნიდან მარჯვნივ 8 ლათინური ასოთი: a, b, c, d, e, f, g, h,

3




ხოლო ჰორიზონტალური რიგები თეთრების მხრიდან — ციფრებით, ქვევიდან ზევით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ რიგთა გადაკვეთა აღინიშნება ასოთი და ციფრით (როგორც ეს მე-3 დიაგრამაზეა ნაჩვენები).

შაშით ან მარბიელით („დამკა") სვლა ჩაიწერება შემდეგნაირად: ჯერ უნდა აღვნიშნოთ ის მოედანი, რომელზედაც იდგა შაში, შემდეგ ის, რომელზედაც შაში დადგა, და შუაში დავუსვათ დეფისი: a3-b3. აღების (მოკვლის) შემთხვევაში დეფისის ნაცვლად დაისმება ორწერტილი.

1) c3-b4 f6-g5 ნიშნავს, რომ თეთრებმა გააკეთეს პირველი სვლა c3-b4, ხოლო შავებმა უპასუხეს f6-f5-ით; ორივე ერთად ერთ სვლად ითვლება. ასეთ ჩაწერაში — 8) ...f6-e5 — სამი წერტილი ნიშნავს, რომ გაკეთებულია რიგით მერვე სვლა შავების მიერ.

საჭიროა, აგრეთვე, შემდეგი ნიშნების ცოდნა: ! კარგი, ძლიერი სვლა; !! ძალზე ძლიერი, ძნელად მოსანახი სვლა; ? სუსტი სვლა; ?? უხეში, წამგები სვლა; ≈ ნებისმიერი სვლა; × მოგება; = ყაიმი; !? გაურკვეველი შეფასების სვლა.

არსებობს პარტიის ჩასაწერი სპეციალური ბლანკები, რომელთა მარცხენა გრაფაში იწერება თეთრების სვლა, ხოლო მარჯვენაში — შავებისა, მაგალითად:

| თეთრები: | შავები: |
|---|---|
| გ. მუხიგული | ლ. ტაბიძე |
| 1) e3-d4 | d6-c5 |
| 2) f3-e3 | f6-g5 |
| 3) c3-b4 ?? | g5-h4 ! |
| 4) b4-d6 | h4-f2 |
| 5) e1-g3 | c7-h4 |

თეთრები დანებდნენ.

ვლადიმერ კანდელაკი

## ჰაერის საუკეთესო გამწმენდი

სტოკჰოლმელმა ბიოქიმიკოსებმა დაამტკიცეს, რომ წაბლის ხე ქალაქის დაბინძურებული ჰაერის საუკეთესო გამწმენდია. ერთი 10 მ სიმაღლის ხის ფოთლები ნეიტრალიზაციას უკეთებენ 100 კუბიკურ მეტრზე მეტ დაბინძურებულ ჰაერში შემავალ ავტომობილის გამონაბოლქვ გაზებს.

## რომელი საათია

ქუჩაში საკუთარ საათთან მოლაპარაკე ადამიანი თუ შეამჩნიეთ, არ გაიკვირვოთ და არც გიჟად ჩათვალოთ იგი. შეიძლება ის ადამიანი საათის იმ მოდელის მფლობელი აღმოჩნდეს, რომელსაც ადამიანის ენაზე შეუძლია მიცემულ კითხვებზე პასუხის გაცემა: რა დღეა დღეს, რომელი საათია? შვეიცარიელი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი საათი მხოლოდ მისი პატრონის ხმაზე იძლევა პასუხს. ხოლო თუ იგი ბიბლიოთეკაში ან თეატრშია, სადაც ხმაური არ შეიძლება, საათის მფლობელი თითს აჭერს ღილაკს და ეკრანზე ჩნდება ყველა საჭირო მონაცემი, დაკავშირებული დროსთან.

## როგორ მოატყუეს ბეჰემოთები

მოგეხსენებათ, ბეჰემოთი ძალზე ზანტი, მოუქნელი, ამასთან, საკმაოდ უწყინარი ცხოველია. ეს ხმელეთზე. წყალში კი იგი აღარც ისეთი ტლანქია და აღარც უწყინარი. სწორედ ბეჰემოთების ამ თვისებებმა ჩააგდეს საგონებელში ფრანგი კინემატოგრაფისტები, რომლებმაც გადაწყვიტეს გადაეღოთ ფილმი ტანზანიის ცხოველებზე. ხოლო მათ ჩანაფიქრში ბეჰემოთების წყალქვეშა ცხოვრების ამსახველი კადრებიც იგულისხმებოდა. გამოსავალი, რომელიც საშუალებას მისცემდა კინემატოგრაფისტებს ყოველგვარი რისკის გარეშე ეწარმოებინათ გადაღებები, ცნობილმა ფრანგმა ოკეანოლოგმა ჟაკ ივ კუსტომ უკარნახა. მისი პროექტით ააშენეს კაუჩუკის წყალქვეშა გემი... რომელსაც ბეჰემოთის ფორმა ჰქონდა.



ბეჰემოთები ენდვნენ კაუჩუკის თანამოძმეს და გემ-ბეჰემოთში მოთავსებულმა კინოოპერატორებმაც შეუფერხებლად გადაიღეს უნიკალური კადრები.

## უძველესი კოლექცია

თურმე ადამიანები კოლექციონერობას უძველესი დროიდან, ჯერ კიდევ ქვის ხანიდან მისდევენ. საფრანგეთში ერთ-ერთ გამოქვაბულში, რომელშიც 25 ათასი წლის წინათ კრომანიონელი ადამიანი ცხოვრობდა, აღმოაჩინეს ნიჟარების კოლექცია. ყველაზე საოცარი კი მაინც ის არის, რომ მათ შორის არის ინდოეთის ოკეანეში მოპოვებული ნიჟარები.



საინტერესო

# სიახლენი

## „გემომეტრი“

ამა თუ იმ კერძის მომზადებისას ხშირად ძნელდება იმის განსაზღვრა, საკმარისია თუ არა მარილი. ეს სიძნელე განსაკუთრებით იგრძნობა იაპონურ სამზარეულოში (თუმცა არა მხოლოდ იაპონურში), სადაც მარილის გემო სხვა სანელებლების გემოთია დაჩრდილული. არადა, არიან ადამიანები, რომელთაც შეზღუდული აქვთ მარილის ნორმა. გამოსავალი იპოვეს იაპონური კომპანია „ტოკიო სანკიოს“ თანამშრომლებმა: მათ შექმნეს ე. წ. „გემომეტრი“. თუ მის ერთ ბოლოს კერძში ჩაუშვებ და ხელსაწყოს ღილაკს თითს დააჭერ, ციფერბლატზე მარილიანობის ხარისხი აისახება. „გემომეტრს“ ათდანაყოფიანი შკალა აქვს.

## მარაო ავტომობილში

როცა ქუჩაში 30°-იანი სიცხეა, მანქანაში ტემპერატურა თითქმის 40°-ს აღწევს და გაძლება ჭირს. გფრ-ის ერთ-ერთმა საავტომობილო ფირმამ მძღოლებს შესთავაზა, ისარგებლონ ჩვეულებრივი მარაოთი. ეს მარაოც, მწმენდავებისა არ იყოს, საქარე მინას უკეთდება, ოღონდ შიგნიდან. მანქანა, რომელზედაც ასეთი მარაო დააყენეს, სამი საათის განმავლობაში იდგა მზის გულზე, მაგრამ სალონში ტემპერატურა 28°-ს არ ასცილებია. საყურადღებოა, რომ ახალი დანადგარი გაცილებით უფრო ეკონომიურია, ვიდრე ვენტილატორი და, მით უმეტეს, კონდიციონერი.

## „სიმინდის“ საწვავი

ინდიანის შტატში (აშშ) ამუშავდა სპირტოვანი საწვავის ქარხანა, რომლის აგებაც 185 მლნ დოლარი დაჯდა. იგი ყოველწლიურად გადაამუშავებს 700 ათას ტონაზე მეტ სიმინდს. ამის შედეგად მიიღება 200 მლნ ლიტრი ეთანოლი, ხოლო ნარჩენებისაგან — საქონლის საკვები და ნახშირმჟავა აირი.

ამჟამად საავტომობილო ბენზინს 10%-მდე ეთანოლს უმატებენ ხოლმე. მარტო 1984 წელს 1900 მლნ ლიტრი ეთანოლი დაიხარჯა. ვარაუდობენ, რომ 1990 წლისათვის ეს ციფრი გაორკეცდება.

## ნუ დაივიწყებთ ნიჩაბს

ტექნიკა — ტექნიკაა, მაგრამ ჩვეულებრივი ნიჩაბი კიდევ დიდხანს გაუწევს სამსახურს ადამიანებს. ბეტონის ნარევის აღებისას ნიჩაბი ზოგჯერ „ცდილობს“ ამოტრიალდეს და თავი გაითავისუფლოს ტვირთისაგან. ასე რომ არ მოხდეს, მუშაკაცს ძალ-ღონის დამატებითი დაძაბვა სჭირდება.

დნეპროპეტროვსკელმა ინჟინრებმა ამასთან დაკავშირებით ასეთი სიახლე შემოგვთავაზეს: ნიჩბის ტარს მიამაგრეს ჩვეულებრივი კარის სახელური. გასინჯეთ და ნახავთ, რომ ეს პაწია გამოგონება საკმაოდ ეფექტურია.





# სარჩევი

ი. აბაშიძე — გილოცავთ ცოდნის ნათელ ზეიმს! (წერილი) გარეკ. 2
ქ. გოჯორიშვილი — „ჩირაღდანი“, „მზიური“, „მეგობრობა“ (ნარკვევი) . . . . . . . . . . 1
ა. გურგენიძე — იგუგუნე, დედოზარო! (ლექსი) . . . 3
ნ. აფხაზავა — სამნი დაადგნენ ომის ბილიკს (მოთხრობა) . 4
შ ე ნ ი უ ც ხ ო ე ლ ი თ ა ნ ა ტ ო ლ ე ბ ი (წერილი). . 10
ალ. გეგეჭკორი — ბებერი მოგზაურები (მოთხრობა) . . 12
ქ. ისაკაძე — პურის სადიდებელი (ლექსი) . . . 14
გ. გიგაური — სახლი არაგვის პირას (ლექსი) . . . 14
ე. ბართაია — თადე და თაყა (ლექსი) . . . . 14
ჰ. მელაძე — კლასგარეშე ინფორმატიკა (წერილი) . . 15
ა ი ს ი . . . . . . . 17
ვ. ჭაუფი — ზღაპარი-ალმანახი (ზღაპარი) . . . 20
ა. კარბელაშვილი — ტელეფონი წყლის ქვეშ თუ კოსმოსში გავლით? (წერილი) . . . . . . . 22
ე. გორგაძე — თქვენც, ნორჩო ოსტატებო! (წერილი) . . 24
შ ე ვ კ რ ი ბ ო თ ხ ა ლ ხ უ რ ი ს ა უ ნ ჯ ე . . . 26
ალ. იონოვი — პურის ნატეხი (მოთხრობა) . . . 28
ბ უ ნ ე ბ ი ს კ ა რ ი . . . . . . 30
ვლ. კანდელაკი — შაში საინტერესო თამაშია (წერილი) . 31
ჯ ა დ ო ს ნ უ რ ი ს ა რ კ ე . . . . . . 31
ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ო ს ი ა ხ ლ ე ნ ი . . . . . 32
ც ხ რ ა კ ლ ი ტ უ ლ ი . . . . . გარეკ. 3
მხატვრის ღიმილი . . . . . . . . . გარეკ. 4

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ედუარდ ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ გოცაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლიანა შეწირული, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის—93-97-03, 93-53-05, განყოფილებების—93-97-02, 93-97-01. გადაეცა ასაწყობად 24. 07. 86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 09. 86 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90 $^1/_3$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35, შეკვ. 1786. ტირაჟი 156000 ეგზ., უე 10551.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников.
Выходит один раз в месяц на грузинском языке.
Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 $^1/_3$, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 155.000 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი“, 1986 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კროსვორდი

თარაზულად: 1. მეცხრამეტე საუკუნის პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე; 6. გასული საუკუნის ქართველი პოეტი; 11. პატარა თხრილი; 12. უკრაინის ქალაქი; 13. რიცხვი; 14. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 15. დიდი გარდატეხა, ცვლილება; 17. სიტყვა, რომელიც მოქმედებას გამოხატავს; 19. გარეული ცხოველი; 20. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოქმედ პირთა შემდგომი ბედი; 21. ქართული ზღაპრის პერსონაჟი; 26. დამუხტული ელექტრონი; 27. ბერძნული მითოლოგიის გმირის, დედალოსის ვაჟი; 30. იალქნის სინონიმი; 31. ლატვიის დედაქალაქი; 34. ბოსტნეული მცენარე; 36. ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილი, რომელსაც კარგ პირზე ამობურცული სახეები აქვს; 37. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება; 38. დამოუკიდებლად არსებული ორგანიზმი.

შვეულად: 1. ხალხური სიტყვიერების ჟანრი; 2. საკვები პროდუქტი; 3. სიტყვები, რომლებიც შედგენილია ერთი და იმავე ბგერებისაგან ამ ბგერების სხვადასხვა დალაგებით; 4. მდიდრული აგარაკი; 5. წელიწადის თვე; 6. ლომის ნაშიერი; 7. თალი; 8. პირველყოფილ ხალხთა რწმენა, რომლის მიხედვითაც ყველა საგანს აქვს სული; 9. დაბლობი ადგილი; 10. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე სპეციალისტი; 14. ტოლგვერდა ირიბკუთხა პარალელოგრამი; 15. გამჭვირვალე ნაოჭებიანი ქსოვილი, შავი ფერისა; 16. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი, პატარა ოთხკუთხა კვერების სახით; 18. თანამედროვე ცირკის მოედანი; 22. სოფელი მცხეთის რაიონში; 23. გასართობად შეთხზული მოკლე სასაცილო ამბავი; 24. მოკლედ და მხატვრულად გამოთქმული ბრძნული აზრი; 25. სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ; 28. საქართველოს ერთ-ერთი რაიონის ცენტრი; 29. სოფელი ცაგერის რაიონში; 32. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები; 33. ცხვრების ჯოგი; 36. გაკვეთილის დაწყების მაუწყებელი სიგნალი; 37. ამერიკის სახელმწიფო.

შეადგინა ალ. გორგიშვილმა




### ლიტერატურული კროსვორდი

თარაზულ უჯრებში ჩაწერეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცების" პერსონაჟთა სახელები

ზაზა ხუციანიძე,
თბილისი, 161-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.






### მეტაგრამები

პიაკოკონა დავანთე,
გამოყო ოქროს ენა, —
რიცხვით სახელად იქცევა,
თუკი შეუცვლი ბგერას.

●

ტყავის მეორე სახელი
გაგახსენდება, მჯერა, —
ანბანის წინა ასოთი
შეცვალე ბოლო ბგერა. —
აფრიკის ბინადარია,
სწორი და გრძელი რქებით,
რომელიც უმალ მიხვდება,
მოვიხსენიებ ქებით.

●

პირველი დიდი ნემსია,
ფიქრი არ გინდა დიდხანს,
მერე კიდური ხმოვანი
გამოუცვალე სიტყვას
და მთად იქცევა მაშინვე,
მაშ რომელია, მითხარ?

●

აბა, ცივის ანტონიმი
რომელია, მითხარ
და მესამე თანხმოვანი
შეუცვალე სიტყვას. —
საიმედო ცხოველია
ლხინშიც, გასაჭირშიც,
ხან ბალახობს იალაღზე,
ხან რკინა აქვს პირში.

შ. ამირანაშვილი

●

მოვაჭექე ბედაურს
(უნდა გითხრათ მართალი),
ისეთია, არ უნდა
არც ალვირი, არც ნალი.
ოთხფეხია ჭკვიანი,
დღენიადაგ სახლშია,
არასოდეს სწყურია,
არასოდეს არ შია.

●

მე აქაური არა ვარ,
ცხელი ქვეყნიდან მოვედი,
ტან-ფეხი ერთიანი მაქვს,
ხელებად — მარაოები.

●

განა უბრალო ვინმე ვარ, —
დაფერილი ვარ ოქროთი,
დედაჩემს გამოვექეცი,
თქვენს გასახარად მოვქროდი,
მოვედი,
და თქვენს თვალებში
ლამაზ კოცონად ავენთე,
მთა-ბარი შემოვირბინე,
მოვხატე, მოვახავერდე.

ნ. მარიხია

## გამოცანები

საზრიანობავ, მიშველე,
გამჭრიახობავ, იელვე:
ზემოთ და ქვემოთ ტყავია,
შუაში — სიცარიელე.

●

მთელ ამ ტყეში ის ცნობილი
მშენებელი არის.

მის სახლს ერთი სარკმელი
აქვს,
იგივეა კარიც.

●

უტანოა,
ცარიელა კუდი არი,
თვით მჩატეა,
თავი კი აქვს ფუთიანი.

### პასუხი № 8-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე"

გამოცანები

თაგვი, სოკო, საათი, წერილი, რუკა, მარწუხი, სანთელი, ხვლიკი, ხაზვი.

შარადები

ჩალა

ფაფარი.

თავსატეხი

როგორც ძუნწი ოქროთი ვერ გაძღება, ისე სწავლის მწყურველი სწავლითა.

# მხატვრის ღიმილი



ორთაბრძოლა

მხატვარი









უსიტყვოდ



მხატვარი



გივი პეტრიაშვილი

უსიტყვოდ



უსიტყვოდ

